ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

თბილისში პოლიციელებმა პროკურორი კაკალია სახალხოდ ცემეს

გვ.3

4 ივნისიდან

მარკ ტვენი

ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ორშაბათი, 10 ივნისი, 2019 | №135 (8089) | ფასი: 60 თეთრი

ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკაში მესამედ მოდის

გვ.3

რატომ ითხოვდა ივანიშვილი მასთან მოლაპარაკებას

რა ერქმევა ახალ პარტიას და ვინ იქნება მისი თავმჯდომარე

კალაძემ კახაძის გამარჯვება შედეგების გამოცხადებამდე იზეიმა

გვ.5



ირმა ნადირაშვილი: „ეს არჩევნები იყო კრიმინალისა და ხელისუფლების შერწყმა“

ბესო დანელია: „ნაციონალური მოძრაობა „ოცნებამ“ გადაარჩინა“

გვ.2

გვ.4 **დიმიტრი შაშკინი: „მასწავლებლების იძულებით წაყვანა ქრისტიანობის ლექციაზე კატასტროფაა“**

სამართალი

გვ.4

სუსმა დიდი ოდენობით სხვისი ნივთის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ერთი პირი დააკავა



მამუკა ხეცურიანს პოლონეთში სამუდამო პატიმრობა ემუქრება

გვ.7

გვ.2

მუხრანის პოლიციის უფროსი ლაშა ძიმისტარიშვილი ხალხმა სოფლის ცენტრში ცემა

ეკონომიკა

გვ.5

რა შეიძინა და როგორ შეიცვალა ნარმანიას ქონება

კალაძემ „ლაგუნა ვერესთან“ გზის გაფართოების პროექტის პრობლემები დაასახელა

გვ.6

რეგულაციები სათამაშო ბიზნესის შესახებ

ISSN 1987-9385

4 როგორ აისახება მოლდოვის პროცესები საქართველოზე

5 გიორგი ლაღიძე: „ოცნების“ პირობებში ემიგრანტების რიცხვი ძალიან გაიზარდა“

3 ლევან ალაფიშვილი: „სასამართლოსადმი ნდობის არარსებობა სახელმწიფოს დასასრულია“

8 მოლდოვის პარლამენტმა ქვეყანა ოლიგარქების მიერ დაპყრობილად გამოაცხადა

„ნაციონალური მოძრაობა „ოცნებამ“ გადაარჩინა“

შორენა მარსაგიშვილი

ბესო დანელია: „საქართველოში არჩევნები არ ტარდება. აქ შედეგები წინასწარ, არჩევნებამდეა დაწერილი“

ვისი ეშინია ივანიშვილს, ვისთვის არის საშიში საქართველოში დაბრუნებული სააკაშვილი, დაათმობინებს თუ არა ოპოზიცია „ოცნებას“ მაჟორიტარულ სისტემას, რატომ სწყალობს „ოცნების“ ლიდერი ბოკერიას პარტიას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ბესო დანელია ესაუბრება.

– საქართველოში მოქმედ ყველა ოპოზიციურ პარტიას აქვს სურვილი და პრეტენზია, რომ ის იქნება მესამე ძალა. თქვენც მესამე ძალის ნიშის დასაკავებლად აპირებთ ბრძოლას?

– ჩვენს პარტიას არსად უთქვამს, რომ მესამე ძალა უნდა გავხდეთ. ამ მომენტისთვის ჩვენთვის საარჩევნო კანონის შეცვლაა მნიშვნელოვანი. დღეს არსებულ საარჩევნო კოდექსს „ქართული ოცნებაც“ ებრძოდა, ოღონდ მაშინ, როცა ოპოზიციაში იყო. 2012 წელს ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ამ კოდექსით ევროპული არჩევნები ვერ ჩატარდება.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ოცნებამ“ უარი თქვა საარჩევნო კოდექსის შეცვლაზე და, ნაციონალების მსგავსად, ყველაფერზე მიდის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს.

რადგან „ოცნება“ დათმობაზე წასვლას არ აპირებს, 20 ოპოზიციური პარტია საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანისთვის გაერთიანდა. მიუხედავად ჩვენ შორის არსებული უთანხმოებისა, ყველანი ვაგროვებთ ხელმოწერებს, რათა რეალურად შეიცვალოს საარჩევნო სისტემა.

ამ საარჩევნო სისტემით, რამდენი პროცენტიც არ უნდა მიიღო, ქოცი ან ნაცი თუ არ ხარ, ვერაფერს მიიღებ.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს პარტიას ამომრჩევლის 15%-ზე მეტი უჭერს მხარს, მაგრამ ამას არჩევნებზე არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

– რატომ არა აქვს?

– იმიტომ, რომ საქართველოში არჩევნები არ ტარდება. აქ შედეგები წინასწარ, არჩევნებამდეა დაწერილი.

– ვთქვათ, არ შეიცვალა საარჩევნო კანონმდებლობა და არჩევნები კვლავ გაყალბდა, ამ შემთხვევაში თუ გამოხვალთ ქუჩაში ხმების დასაცავად? ნაციონალები რამდენიმეჯერ დაიმუქრნენ არჩევნების შემდეგ ქუჩაში გამოსვლით, მაგრამ მეორე დღესვე გაჩერდნენ.

– თვითმმართველობის არჩევნებზე ჩვენი ხმები გიგა ბოკერიას „ევროპულ საქართველოს“ მიაკუთვნეს. ჩვენ 3%-ს ძლივს გადაგვაცილეს, იმათ 7% დაუწერეს. ასეულობით საჩივარი გვქონდა შეტანილი, მაგრამ არც ერთი არ განიხილეს.

სამწუხაროდ, მაშინ ჩვენი ამომრჩევლების ხმების დაცვა ვერ მოვახერხეთ. არც ქუჩაში გამოვსულვართ. გვინდოდა, სასამართლოს გზით მიგვეღწია სამართლისთვის, მაგრამ ეს გზა შედეგიანი არ აღმოჩნდა.

„2013 წლის შემოდგომაზე სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა გაუვიდა და საქართველოდან წავიდა. მხოლოდ მაშინ აღძრეს მის წინააღმდეგ საქმე, ისიც რამდენიმე თაიგულის, პიჯაკებისა და ორი პალტოს გამო. არც 26 მაისის დარბევა, არც გია კრიალაშვილის დახვრეტა, არც ქუჩაში მოკლული 300-მდე ახალგაზრდა გახსენებია ვინმეს“

ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას არ ერიდება. ეს მაისში ჭიათურაში ჩატარებულმა არჩევნებმაც აჩვენა. იქ „ოცნების“ კანდიდატს 75%-იანი გამარჯვება დაუფიქსირეს, ორი დღის მერე კი მთელი ქალაქი გაიფიცა. ხალხი როცა კარგად ცხოვრობს, გაფიცვას არ აწყობს.

არჩევნებში ხელისუფლება იმ შემთხვევაში იმარჯვებს, თუ ხალხი მისი მუშაობით კმაყოფილია. ჭიათურის მაგალითმა აჩვენა, რომ ხალხი ისეთი გამწარებული იყო, რომ მთელი ქალაქი გაიფიცა.

ჭიათურის მსგავსად, დანარჩენ საქართველოშიც მძიმე ვითარებაა. მოსახლეობის ნახევარი ლამის ნაგვის ბუნკერებში იქექება. ხალხს ისე უჭირს, რომ მიშას დაბრუნების შიშით ამომრჩევლის დაბრუნება აღარ გამოვა. მოსახლეობისთვის უკვე სულ ერთია, მიშა იქნება სათავეში თუ ბიძინა.

– თქვენთვის რამდენად სულ ერთია, მიშა დაბრუნდება თუ არა, თქვენმა პარტიამ და 2011 წლის 26 მაისმა შეიწირა, ფაქტობრივად, ის რეჟიმი.

– ამას არც „ოცნება“ მალავს. 2011 წლის 26 მაისის ღამეს აეხადა ნაციონალურ რეჟიმს ფარდა. იმ ღამეს მთელმა მსოფლიომ ნახა, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში სააკაშვილი.

თავად ივანიშვილი აცხადებდა, რომ მისთვის ეს ღამე ბოლო წვეთი აღმოჩნდა და ამიტომ მოვიდა პოლიტიკაში. ჩვენ გვჯეროდა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ყველა დამნაშავე დაისჯებოდა.

ესენი მოვიდნენ თუ არა ხელისუფლებაში, ეგრევე კოჰაბიტაცია შესთავაზეს ნაციონალებს, გადაარჩინეს და სასათბურე პირობები შეუქმნეს. ძალიან კარგად მახსოვს დავით უსუფაშვილის განცხადება – ნაციონალების შენარჩუნება დემოკრატიის ამოცანააო.

2013 წლის შემოდგომაზე სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა გაუვიდა და საქართველოდან წავიდა. მხოლოდ მაშინ აღძრეს მის წინააღმდეგ საქმე. ისიც რამდენიმე თაიგულის, პიჯაკებისა და ორი პალტოს გამო. არც 26 მაისის დარბევა, არც გია კრიალაშვილის დახვრეტა, არც ქუჩაში მოკლული 300-მდე ახალგაზრდა გახსენებია ვინმეს.

არც ხალხისთვის ბიზნესების წართმევის ფაქტების გამო მოუთხოვიათ სააკაშვილისთვის პასუხი, სამაგიეროდ, ბებიამისის ოპელ-ვექტრაზე მოედავნენ.

აი, ასეთი სამარცხვინო ხელისუფლება გვყავს, რომელიც გარიგებაშია შესული ნაციონალებთან და მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები.

– მიშათი ხალხის დაშინება არჩევნებზე ჯერ ისევ ჭრის. ყველაზე მეტად თქვენს პარტიას უნდა ეშინოდეს მისი დაბრუნების. ნაციონალების რეჟიმი სისხლიანმა 26 მაისმა შეიწირა. ის ამაზე დაბოლმილი იქნება. არ გეშინიათ მისი დაბრუნების?

– სააკაშვილის მაშინ არ შეგვშინებია, როცა მიშა პრეზიდენტი იყო და ცოლ-ქმარი ერთმანეთს სამზარეულოში ჩურჩულით ესაუბრებოდა. როცა ხმის ამოღებას ვერ ბედავდა ვერავინ, მაშინ ვიდექით ქუჩაში და მსოფლიოს გასაგონად გავყვიროდით, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში და ახლა რატომ უნდა შეგვეშინდეს მიშასი.

ეს „ოცნების“ წევრებს ეშინიათ მიშას დაბრუნების და ამის გამო დედაკაცებივით მოსთქვამენ.

– ისე, მართლა ეშინიათ, თუ ეს მოთქმა-გოდება მხოლოდ არჩევნებს უკავშირდება?

– ერთიც და მეორეც. თავადაც ეშინიათ სააკაშვილის დაბრუნების და ხალხსაც ამით აშინებენ. წესით, მათ მიშასი კი არა, ხალხის უნდა ეშინოდეთ. იმ ხალხის, რომელსაც სამართლიანობის აღდგენას დაჰპირდა.

– იმ პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხი თუ დადგა, რომლებმაც პირადად თქვენზე განახორციელეს 2011 წლის 21 მაისს თავდასხმა?

– არანაირი სამართლიანობა არ აღმდგარა. ამათ მხოლოდ 26 მაისს ვახსენებით. 25 მაისს, გვიან ღამით, მოდიან ტელევიზიები, გვაყოლებენ, თუ რა საშინელება მოხდა იმ ღამით, რათა ხალხი დააშინონ. ამ საქმეზე დასჯილი არავინ არის.

სააკაშვილით აშინებენ ხალხს და ქვეყნის ერთიანობა რომ დარღვეულია, ეს აღარავის ახსოვს. სამაგიეროდ, იციან, როგორ უნდა გაათეთრონ გირგვლიანისა და მოლაშვილის მოსამართლეები.

ნაციონალების რეჟიმის მსახურები უვადოდ გაამწესეს მოსამართლეებად. ამის მერე რაზე უნდა ვილაპარაკოთ? ქვეყანა სამარცხვინო მდგომარეობაშია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნიშნები საერთოდ აღარ აბადია.

– ზემოთ თქვით, აღარც კი ახსოვთ, ქვეყნის ერთიანობა რომ აღსადგენიაო. თქვენ გახსოვთ და პარტიას ამიტომ შეუცვალეთ სახელი და „ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობა“ დაარქვით, ადრე პირიქით გერქვათ – „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“.

– სახელწოდების გარდა, პარტიაში სხვა ცვლილებებიც შევიდა. ეს ცვლილებები იმ პროცესების გამოძახილია, რომლებიც დღეს ქვეყანაში ხდება. გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ნინო ბურჯანაძის გარდა სხვა ადამიანს ვერ ვხედავ, რომელსაც ტერიტორიული აღდგენის კუთხით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა შეუძლია.

– ბევრი ამას არ დაიჯერებს, რადგანაც ის რუსეთუმედ მოიაზრება.

– რუსეთუმეს იარლიყს აკერებენ, მაგრამ ბურჯანაძე ერთადერთია, რომელსაც შეუძლია როგორც რუსეთში, ასევე ამერიკაში, ევროპასა და ირანში ჩასვლა და მაღალი დონის შეხვედრების გამართვა, სადაც ყოველთვის საქართველოს ინტერესებს იცავს.

ჩვენთვის საქართველოს გაერთიანება უმთავრესია და ამითაც იყო გამოწვეული, რომ პარტიის დასახელება ოდნავ შევცვალეთ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით არანაირი წინსვლა არ შეინიშნება.

– პრემიერმა მამუკა ბახტაძემ ამ დღეებში განაცხადა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დრო სჭირდება.

– პრემიერის განცხადება ამ ქვეყანაში არაფერს ნიშნავს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ის არაფერს წყვეტს. აქ გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი ადამიანი – ბიძინა ივანიშვილი იღებს.

ამ ვითარებაში პასუხისმგებლობას სხვა თავის თავზე ვერ იღებს. ეს უპასუხისმგებლობა სახელმწიფოებრიობას ნელ-ნელა გვაკარგვინებს.

– ქვეყანაში გადაწყვეტილებების მიმღები ის ერთადერთი კაცი ბურჯანაძესა და მის პარტიას ვერ იტანს. ამის მიზეზი რა არის, დაუშავეთ რამე?

– დაშავებით არაფერი დაგვიშავებია. როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდნენ, ჩვენ დაგვიწყეს ბრძოლა. შეგვიმცირეს დაფინანსება, წაგვართვეს საარჩევნო კომისიაში წევრები, წაგვართვეს საეთერო დრო.

ჩვენ ვართ ერთადერთი ძალა, რომელიც ვერც შეაშინეს და ვერც მოისყიდეს. ჩვენ ბრძოლას არასდროს ვწყვეტთ.

სისხლიანი 26 მაისის მერეც არ შეგვიწყვეტია ბრძოლა, არადა, ლამის მთელი პარტია დაიჭირეს. ერთი ოფისის ხალხი ვიყავით გარეთ. აქედან ნახევარი ჩაწოლილები ვიყავით. პირადად მე 6 თვე ვიწექი. ხერხემლის 2 მალა მქონდა ამოვარდნილი და კოჭთან სამ ადგილზე მქონდა ფეხი გადატეხილი.

თავის დროზე პოლიტიკაში უსამართლობის გამო მოვედი. 2006 წლამდე ჩემი საქმე მქონდა, „ქართუ ჯგუფში“ ვმუშაობდი, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის მერე პროტესტის გრძნობა გამიჩნდა, გამოვედი ქუჩაში და იმის მერე აღარ შევსულვარ.

– გამოდის, რომ ამ ქვეყანაში მაინც ქუჩაა გადამწყვეტი.

– არა. უნდა ვეცადოთ, რომ ქვეყნის ბედი ქუჩაში აღარ გადაწყდეს. ეს ქვეყანა რევოლუციას ვეღარ გადაიტანს. დროა, ყველაფერი პარლამენტში და საარჩევნო ყუთთან გადაწყდეს. ამისთვის კი საჭიროა დემოკრატიული საარჩევნო კოდექსი. 20 პარტია ამ მიზნით ვთანამშრომლობთ. არასამთავრობო ორგანიზაციები და დიპლომატიური კორპუსიც მხარს გვიჭერენ.

ისეთი საარჩევნო კოდექსი უნდა მივიღოთ, რომელიც დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას შეუწყობს ხელს. არ შეიძლება, პარტია, რომელსაც 35%-იანი მხარდაჭერა აქვს მხოლოდ, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობდეს. რომელი პარტია რამდენ პროცენტს მიიღებს, იმ პროცენტის შესაბამისად უნდა იყოს პარლამენტში წარმოდგენილი.

მუხრანის პოლიციის უფროსი ლაშა ძიმისტარიშვილი ხალხმა სოფლის ცენტრში ცემა

მუხრანის პოლიციის უფროსს, ლაშა ძიმისტარიშვილს ხალხმა სოფლის ცენტრში სცემა. ფიზიკურ ანგარიშსწორებამდე საქმე მას შემდეგ მივიდა, რაც მუხრანის პოლიციაში ადგილობრივების დაკავების ფაქტები გახშირდა.

მოსახლეობა ამტკიცებს, რომ მათ თანასოფლელებს, პოლიციის ახალი უფროსის ბრძანებით, უმიზეზოდ, თითქმის ყოველდღე აკავებენ.

უსამართლობის განცდამ მოსახლეობა რადიკალურ პროტესტამდე მიიყვანა.

„კურიერს“ წყარო უყვება, რომ მუხრანში მცხოვრებლები პოლიციის ახალი უფროსის, ლაშა ძიმისტარიშვილის მუშაობით დიდი ხანია, უკმაყოფილოა, რადგან, ბოლო თვეების განმავლობაში ადგილობრივებს სამართალდამცველები სცემენ და უკანონოდ აკავებენ.

პოლიციის უფროსის ცემის ფაქტზე საჯაროდ საუბარს ყველა ერიდება, მაგრამ შემთხვევას უამრავი თვითმხილველი და მონაწილე ჰყავდა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ თუ დაპირისპირების დეტალებზე საჯაროდ ალაპარაკდებიან, შესაძლოა, მოსახლეობაზე გაბრაზებული პოლიციელები უფრო აგრესიულები გახდნენ.

ყველა, ვინც პოლიციელის ცემის საქმეზე შესაძლოა, რამე სცოდნოდა, სამართალდამცველებმა მეორე დღეს დაკითხვაზე გადაიყვანეს.

„კურიერს“ წყარო უყვება, რომ პოლიციის განყოფილებაშივე ადგილობრივებს უთხრეს, რომ მომხდართან დაკავშირებით არსად არაფერი ეთქვათ.

მოწმეების ჩვენებების გარდა, სამართალდამცველებს აქვთ დაპირისპირების ამსახველი კადრებიც, რომელიც სოფლის ცენტრში მდებარე აფთიაქის ვიდეოთვალმა დააფიქსირა. ეს ჩანაწერები გამოძიებას უკვე ამოღებული აქვს და ყველა პირიც იდენტიფიცირებულია, მაგრამ ამ საქმეზე დაკავებული არავინ არის.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სასამართლოსადმი ნდობის არარსებობა სახელმწიფოს დასასრულია“

ლევან ალაფიშვილი: „ამის გაცნობიერება ვერ ხდება“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, დეკემბერში დაწყებული პროცესი, უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებას ვგულისხმობ, პარლამენტში კანდიდატებისთვის კენჭისყრით დასრულდება. ბევრი მიიჩნევს, რომ შეიძლება ეს ახალი პოლიტიკური პროცესის დასაწყისი აღმოჩნდეს. თქვენ გაქვთ ასეთი მოლოდინი?

– დეკემბრის მიწურულს დაწყებულ ამ პროცესს ნამდვილად ახლდა პოლიტიკა, რაც იყო თავად „ქართული ოცნებიდან“ მომდინარე პროცესი. მთელ ამ პროცესში მმართველი პოლიტიკური ძალა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ წინააღმდეგობას წააწყდა. ამიტომ „ქართულ ოცნებას“ რაღაც ახლის მოფიქრება მოუხდა.

ეს გულისხმობდა კანონში ცვლილებებს და უკვე კანონის ძალით პროცესების გაგრძელებას. თუმცა, ალბათ სულაც არ იყო ძნელი მისახვედრი, რომ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობა ჰქონდა, არ გაუჭირდებოდა ისეთი კანონის შექმნა, რომელიც რეალურად მის პოლიტიკურ ზრახვებს მოემსახურებოდა.

ეს მძიმე პროცესია არა რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის, არამედ ქვეყნისთვის. მთელი ეს პროცესი სახელმწიფოებრობას აზიანებს, მეტიც, ძირს უთხრის.

მოგეხსენებათ, სახელისუფლებო შტოები როგორ არის გადანაწილებული. აღმასრულებელი და საკანონმდებლო პოლიტიკური შტოებია. ერთადერთი შტო, სასამართლო ხელისუფლება, სწორედ ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს გვიცავს ხელისუფლების იმ ორი შტოს ძალადობისგან, შეცდომებისგან, რომელთაც პოტენციურად სჩადის ის. ამიტომ, სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკის მიღმა დგას და ის, პირველ რიგში, მოქალაქეების ნდობაზე უნდა იდგეს.

მე მიხარია, რომ საზოგადოებამ სწორედ ეს გააცნობიერა. ხალხმა იცის, რომ სასამართლო არის ერთადერთი კონსტიტუციური ინსტრუმენტი მის ხელში, რომელიც მას სახელმწიფოს ძალადობისგან იცავს.

– თქვენ ამბობთ, რომ საზოგადოების რეაქცია ადეკვატური იყო?

– რა თქმა უნდა! ამიტომ მოუწია ხელისუფლებას ამ პროცესის არა ფორსირებულად, არამედ მთელი ძალისხმევით წარმართვა.

სასამართლოს ნდობის გარეშე სახელმწიფო არ არსებობს. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოფიქრებულია ერთადერთი სახელმწიფო მექანიზმი – სასამართლო, სადაც დავების განხილვა ხდება. თუ საზოგადოებას ნდობა არ ექნება სასამართლოს მიმართ, ჩვენ ღრმა წარსულში ვბრუნდებით, რაც საზოგადოებისთვის კატასტროფა იქნება.

ალტერნატიული გზები, წარმოგიდგენიათ, რას გვიქადის?! კორუფციას, ქურდულ გარჩევებს, აი, რას მიეცემა ასპარეზი. ამას ვერ აცნობიერებს დღეს ხელისუფლება. სასამართლოსადმი ნდობა ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ზოგადად სახელმწიფოს არსებობაში. სასამართლოსადმი ნდობის არარსებობა სახელმწიფოს დასასრულია.

რეალურად ბოლო პერიოდში ამის გაცნობიერება ვერ ხდება. თითქოს, ძალიან უწყინარი თემა – სასამართლოს დამოუკიდებლობა – სწორედ ქვეყნის სახელმწიფოებრობაზე გადის. ან გაქვს სახელმწიფო, ან არ გაქვს.

– კანდიდატთა 20-კაციან სიას პარლამენტში ინდივიდუალურად ეყრება კენჭი. „ქართული ოცნების“ დეპუტატები აცხადებენ, რომ ეს მათ შანსს აძლევს, ოდიოზური კანდიდატები ჩააგდონ. თქვენ გაქვთ ასეთი მოლოდინი, რამდენად გაითვალისწინებენ ისინი საზოგადოების პოზიციებს?

– კონსტიტუციის მიღების პროცესი გახსოვთ?! არ არსებობდა საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც თავისი ნეგატიური პოზიცია არ დაეფიქსირებინა კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მმართველმა პარტიამ კონსტიტუცია ერთხმად მიიღო. არც ერთი შენიშვნა, რომელიც პროფესიული წრეებიდან თუ პოლიტიკური ძალებიდან მოდიოდა, არ გაითვალისწინა. მიუხედავად იმისა, რომ საუბარია ქვეყნის კონსტიტუციაზე, რომელიც ზოგადად კონსენსუსის საგანი უნდა იყოს ქვეყანაში.

შესაბამისად, მე არ მაქვს მოლოდინი, რომ ამ პროცესში ხელისუფლება უკან დაიხევს. მან მიიღო გადაწყვეტილება და ახლა ყველაფერს აკეთებს ამ გადაწყვეტილების გასაფორმებლად.

პულტების უმრავლესობა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში აქვს, უზრუნველყოფს წითლისა და მწვანის გარჩევით პროცესის კულმინაციას. ყველა შემთხვევაში დავალება იქნება იმ ადამიანების უზენაეს სასამართლოში გამწესება, რომელიც მათდამი პოლიტიკურად ლოიალურად არის განწყობილი და დავალებაც პირნათლად იქნება შესრულებული. ამაში ეჭვი არ მეპარება.

– საზოგადოების რეაქციას ელოდებით?

– ჩვენი ყველა ხელისუფალი მმართველობის მიწურულს საზოგადოებას სცილდებოდა. როგორც ჩანს, ეს სენი მოუშუშებელია და ეს სენი სჭირს „ქართულ ოცნებასაც“.

მისთვის გადამწყვეტია არა საზოგადოების ინტერესები, არამედ მისი პოლიტიკური დღის წესრიგი.

ვნახოთ, როგორი იქნება საზოგადოების რეაქციები.

ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკაში მესამედ მოდის

რა ერქმევა ახალ პარტიას და ვინ იქნება მისი თავმჯდომარე

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ითხოვდა ივანიშვილი მასთან მოლაპარაკებას

პარტიამრავალი საქართველო ამ დღეებში კიდევ ერთი პოლიტიკური სუბიექტით გამდიდრდება. თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი თანამოაზრეებთან ერთად შექმნილ პარტიას ხვალ, 11 ივნისს, გამოაჩენს.

ეს ყოფილი მინისტრისთვის პოლიტიკაში მოსვლის მესამე მცდელობა იქნება. პირველ ცდაზე, 2003 წელს, ნაციონალებთან ერთად ტრიუმფით მოვიდა პოლიტიკაში. 2007 წელი მისთვისაც და მისი პარტიისათვისაც მძიმე და წარუმატებელი აღმოჩნდა. როგორი იქნება 2019 წელი მისთვის, ამას მომავალი გვაჩვენებს.

2007 წლისგან განსხვავებით, ეს ახალი პარტია მხოლოდ მისი არ იქნება. „ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ამბიციური ოქრუაშვილი პარტიის თავმჯდომარეობაზე პრეტენზიებს არ აცხადებს.

„ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა იმ ხალხის ვინაობაც, ვისთან ერთადაც ოქრუაშვილი პარტიას შექმნის. მასთან ერთად პარტიაში იქნებიან ვალერი გელბახიანი, კოტე კემულარია, მიხეილ ჯიბუტი და გუბაზ სანიკიძე.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, პარტიის თავმჯდომარე კოტე კემულარია იქნება. შეიძლება, პარტიამ თავმჯდომარე არც აირჩიოს.

საიდუმლოდ ინახავენ პარტიის დასახელებასაც, თუმცა რაღაც ინფორმაციამ მაინც გამოჟონა. პარტიას, სავარაუდოდ, „გამარჯვებული საქართველო“ ერქმევა.

ამ პარტიის შექმნის პროცესს დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალ-ყურს მმართველ პარტიაში. ამ პარტიის მიმართ გულგრილი არც ბიძინა ივანიშვილია.

დაახლოებით ერთი თვის წინ „ოცნებამ“ მორიგი დახურული შეხვედრა გამართა, სადაც ოპოზიციასთან სიტუაციის დალაგებაზეც იყო საუბარი.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობას“ უყვება, რომ ივანიშვილმა ოქრუაშვილთანაც მოითხოვა სიტუაციის დალაგება.

– ივანიშვილმა პირდაპირ თქვა, ოქრუაშვილსაც დაელაპარაკეთ, ირაკლის არ აწყენინოთო. ამის შემდეგ დაიწყო ისეთი ადამიანების მოძებნა, რომლებსაც ყოფილ მინისტრთან მიაგზავნიდნენ, – გვიყვება „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო.

ამის პარალელურად, „ოცნებამ“ ჭორიც გაავრცელა, რომ „ოცნების“ მამა-მარჩენალმა ყოფილ მინისტრთან დაალაგა. ამ ჭორების გავრცელებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ოქრუაშვილი რაღაც პერიოდი არ ჩანდა.

საბოლოო ჯამში, მოლაპარაკება არ შედგა. ოქრუაშვილთან გასაგზავნი კაცი ვერ გამოხახეს. გოგა ხაინდრავა კი იცნობს ყოფილ მინისტრს, მაგრამ საეჭვოა, ეს უკანასკნელი „ოცნების“ იდეოლოგად ქცეულ რეჟისორს დალაპარაკებოდა.

მმართველ პარტიაში ნამინისტრალის გააქტიურება და პოლიტიკაში მოსვლა არ აწყობთ. ამ უკანასკნელმა ბევრი რამე იცის როგორც ივანიშვილზე, ასევე „ოცნების“ სხვა ლიდერებსა და თუ დაბალი რანგის მოხელეებზე. ამის გარდა, ის საზოგადოებაში სიმპათიითაც სარგებლობს და, საჭიროების შემთხვევაში, მუხტის აწევაც შეუძლია.

„ქართულ ოცნებაში“ არც ვალერი გელბახიანის გააქტიურების ამბავი გაუხარდებათ. ივანიშვილზე მანაც ბევრი საინტერესო რამე იცის.

იგივე შეიძლება ითქვას გუბაზ სანიკიძეზე. მასზე ივანიშვილსა და მას აყოლილ რიგით მეოცნებეებს ნამდვილი ალერგია აქვთ.

როგორც ამბობენ, თავის დროზე „ოცნების“ ლიდერის გამო დატოვა სანიკიძემ „ეროვნული ფორუმი“. ჩვენს მკითხველს ისიც ემახსოვრება, თუ როგორ წამოვიდა რესპუბლიკელებიდან დავით უსუფაშვილი.

რესპუბლიკელებისგან გამოყოფილმა უსუფაშვილმა და სანიკიძის გარეშე დარჩენილმა ფორუმმა შენების მოძრაობა შექმნეს. მაშინ „ოცნების“ კულუარებში ღიად ამბობდნენ, რომ ივანიშვილი ამ ერთობას მესამე ძალად გადაქცევასაც კი დაჰპირდა. ამისთვის მთავარი პირობა შემდეგი იყო – უსუფაშვილი რესპუბლიკელებს უნდა გამიჯვნოდა, გუბაზი კი ფორუმიდან წასულიყო.

ეს მოთხოვნა შესრულდა, მაგრამ შენების მოძრაობას არაფერი ეტყობა იმის, რომ მესამე ძალა გახდება.

თბილისში პოლიციელებმა პროკურორი კაკალია სახალხოდ ცემეს

ეგზეკუცია სუპერმარკეტში დაიწყო და მანქანაში გაგრძელდა

29 მაისს ფიზიკური ძალადობა განხორციელდა ისანი-სამგორის რაიონულ პროკურორზე – შემთხვევა თბილისში სახალხოდ, უამრავი ადამიანის თვალწინ მოხდა. მოძალადეები გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლები არიან.

დაპირისპირება დადიანის გამზირზე რამდენიმე ეპიზოდისგან შედგებოდა. მოქალაქეები უყურებდნენ, როგორ სცემდნენ, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი იარაღიანი ადამიანები მოქალაქეს.

პროკურორის ცემა პოლიციელებმა ერთ-ერთ სუპერმარკეტში დაიწყეს, ავტომობილში გააგრძელეს და პოლიციის შენობაში გადაყვანის შემდეგაც არ დაასრულეს.

ივანე კაკალია ამ პერიოდის განმავლობაში პოლიციელებს საკუთარ თანამდებობას მუდმივად ახსენებდა.

ნაცემი პროკურორი პოლიციელებმა გლდანი-ნაძალადევის რაიონის განყოფილებაში გადაიყვანეს, დაკავების ოქმი გააფორმეს და დიღომში წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

როდესაც შენობაში თანამშრომლებმა ხელბორკილებდადებული კაკალია დაინახეს, პროკურორი იცნეს. ამის შემდეგ ატყდა განგაში, დაკავების ოქმი დახიეს და ნაცემი კაკალია სახლში გაუშვეს.

რუსთავი 2-ის ცნობით, პოლიციაც და პროკურატურაც ამ ამბავს მალავენ. ნაცემი პროკურორი გააქრეს. არსებობს ინფორმაცია, რომ მან დროებით ქვეყანაც კი დატოვა. საქმე იმდენად გასაიდუმლოვდა, რომ ვანო კაკალიას კარის მეზობლებმაც კი უარყვეს მასთან მეზობლობა.

პოლიციელების მიერ ნაცემი პროკურორის სამსახური ჩალაძის პირველ ნომერში მდებარეობს. კაკალიას მისაღებში განაცხადეს, რომ პროკურორი შვებულებაშია.

„შაბათის კურიერის“ კამერის წინ, ძალოვნების ჩხუბზე საუბარი არ სურთ სუპერმარკეტის თანამშრომლებსაც. ერთ-ერთმა „კურიერს“ უთხრა, რომ ისინი მკაცრად გააფრთხილეს, 29 მაისის ღამე დაევიწყებინათ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა „შაბათის კურიერს“ ღიად უდასტურებენ, რომ ფაქტი ნამდვილად მოხდა და გამოძიება ორივე უწყების გენინსპექციაში დაწყებულია.

ის, რომ პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ღია ომში არიან, დავით სარალიძის საქმის გამოძიების დროსაც დადასტურდა.

წყარო „კურიერს“ უყვება, რომ პოლიციის გამოუძიებელ საქმეებს ხშირად პროკურატურა მიმართულებას უცვლის და მის მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს არ აღიარებს.

დაპირისპირება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას შორის ქუჩაში ნაცემი პროკურორის ამბავმა კიდევ უფრო გაამძაფრა. სკანდალის შემდეგ გახარია იძულებული იყო, პოლიციის იმ განყოფილების უფროსობა მოეხსნა, რომლის თანამშრომლებიც პროკურორ კაკალიას გაუსწორდნენ.

„კურიერს“ გლდანის პოლიციაში დაუდასტურეს, რომ ახალი ხელმძღვანელები ჰყავთ.

ყოფილი მთავარი პროკურორი იმ საქმეებს იხსენებს, რომლებიც ნაცემი ივანე კაკალიას სახელს უკავშირდება. მურთაზ ზოდელავა ამბობს, რომ კაკალია მთავარი პროკურორის მოადგილის, მამუკა ვასაძის კადრია, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უშუალოდ კაკალია ასრულებდა პოლიტიკურ დაკვეთებს. მის ხელში იყო მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ჟვანიას საქმეები.

როგორ აისახება მოლდოვის პროცესები საქართველოზე

მარიამ მჭედლიშვილი

ცოტა ხნის წინ ევროპელი ანალიტიკოსები აცხადებდნენ, რომ კრემლი ფარულად ერევა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რასაც შეიძლება ამ ქვეყნებში კრიზისი და დესტაბილიზაცია მოჰყვეს.

საუბარი იყო იმაზე, რომ მოსკოვი ხელს უშლის მოლდოვის ახალ პარლამენტში ბლოკების შექმნასა და კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას.

დღეს მოლდოვაში ახალი რამდენიმე ძალის წარმომადგენლებმა მთავრობაც დაამტკიცეს, მაგრამ სიტუაცია ისე აირია, რომ იქ მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურნენ აშშ, ევროკავშირი და რუსეთი. ამასთან, რუსეთის განცხადებები მოლდოვის კრიზისზე გარეგნულად არ განსხვავდება დასავლეთის პოზიციისაგან.

– ხელისუფლების ცვლილება მოლდოვაში ამ ქვეყნის შიდაპოლიტიკური პროცესია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდნენ ძალები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის მოსახლეობის ნებას, – აცხადებს რუსეთის ვიცეპრემიერი დმიტრი კოზაკი.

რუსეთი, ისევე, როგორც ევროკავშირი და აშშ, მიესალმნენ შეთანხმებას ბლოკ „აკუმსა“ და სოციალისტებს შორის, რამაც შესაძლებელი გახადა პარლამენტის სპიკერისა და ახალი მთავრობის დამტკიცება მაია სანდუს ხელმძღვანელობით.

ახალი პრემიერის კანდიდატურა პარლამენტს პრორუსულად აღიარებულმა პრეზიდენტმა დოდონმა შესთავაზა.

ამ ნაბიჯებს არ შეეგუა მოლდოველი ოლიგარქი პლახოტნიუკი, რომელსაც დემოკრატიული პარტია აქვს. მისი გავლენით მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლომ ახალი მთავრობის ფორმირება არაკონსტიტუციურად ცნო. ამ სასამართლომ პრეზიდენტის უფლებები დროებით გადასცა პაველ ფილიპს, რომელიც აქამდე პრემიერი იყო.

ამის შემდეგ პარლამენტმა მოლდოვის მთელი რიგი დაწესებულებები და ინსტიტუტები მიტაცებულად გამოაცხადა. პარლამენტის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ქვეყანაში ყვავის კორუფცია, სასამართლო კი ოლიგარქების მხრიდან ტოტალურ კონტროლს განიცდის.

პარლამენტი მოითხოვს ასევე ცესკოსა და ანტიკორუფციული ცენტრის დაშლას და შერეული საარჩევნო სისტემის გაუქმებას.

რუსეთის ვიცეპრემიერი ოლიგარქ პლახოტნიუკის წინააღმდეგ სკანდალურ ფაქტსაც ასაჯაროებს. მისი ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ ვლადიმირ პლახოტნიუკი მოსკოვში პირობას დებდა, რომ მისი დემოკრატიული პარტია დოდონის სოციალისტებთან ერთად მოლდოვის საგარეო ვექტორს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ შეაბრუნებდა. რუსეთის ვიცეპრემიერის ინფორმაციით, მოსკოვში ეს წინადადება უარყვეს.

შესაძლოა, მოლდოველი ოლიგარქი, რომელსაც რუსეთთან კავშირი ჰქონდა, მართლაც ცდილობდა მორიგებას თავის ძველ მოკავშირეებთან. კრემლში ის ადრევე მოიძულეს. ამის მიზეზი უცნობია. ამ დღეებში, დიდი ალბათობით, მოლდოვაზე გავლენა იქონია დასავლეთის აქტიურობამ, რასაც რუსეთი ვერ შეეწინააღმდეგა.

მოლდოვაში მიმდინარე მოვლენები პირდაპირ თუ ირიბად აისახება საქართველოსა და უკრაინაზე, მით უმეტეს, რომ ევროპელი ანალიტიკოსები მოვლენების აქტივიზაციას თბილისსა და კიევშიც ელოდებიან.

ბრიტანელი ექსპერტების აზრით, არ არის გამორიცხული დინამიკური მოვლენების განვითარება ბელარუსში. ლუკაშენკო შეიძლება პუტინს ისე დაუპირისპირდეს, რომ მას მოუხდეს კრედიტის აღება საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან. კრედიტის ასაღებად მას ღრმა ეკონომიკური რეფორმების პირობას წაუყენებენ. ამის შემდეგ ლუკაშენკო დასავლეთისკენ გადმოიხრება. ევროკავშირსა და ნატოში ბელარუსის მიწვევის პოლიტიკა მასთან არ გადის.

ექსპერტების აზრით, პუტინს სიურპრიზებსა და მახეებს უკრაინის ახალი პრეზიდენტი ზელენსკიც შესთავაზებს.

დიმიტრი შაშკინი: „მასწავლებლების იძულებით წაყვანა ქრისტიანობის ლექციაზე კატასტროფაა“

იაგო ნაცვლიშვილი

ქრისტიანობის შესახებ მასწავლებლებისთვის ჩატარებულმა ლექციებმა პედაგოგების ნაწილის პროტესტი გამოიწვია. როგორც აღმოჩნდა, მასწავლებლებს ინფორმაციაც არ მიაწოდეს და ისე მიიყვანეს ლექციებზე, რომელზე დასწრებაც სავალდებულო იყო. მათ შორის იყვნენ მუსლიმანი მასწავლებლებიც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ განათლების ყოფილ მინისტრ დიმიტრი შაშკინს ესაუბრა.

– მასწავლებლებისთვის ტარდება ლექციები ქრისტიანობაზე, მათ შორის მუსლიმანი მასწავლებლებისთვისაც, თანაც ისე, რომ მათ არავინ ეკითხება ამას და სავალდებულოა მათი მისვლა. როგორია ამ თემაზე თქვენი შეფასება?

– მე ცხოვრების განმავლობაში ყოველთვის ასეთი პოზიცია მქონდა, რომ რწმენა არის ძალიან პირადული რამე. ეს არის პირადული მომენტი და ამისი საჯარო სივრცეში გადაყვანა აბსოლუტურად არასწორია. ეს არის ჩემი აზრი, იმიტომ, რომ ეს რწმენა ეხება ადამიანის ურთიერთობას, ადამიანების კავშირს და პრესტიჟს. ამის საჯარო სივრცეში გადაყვანა – იქნება ეს ლექცია, დაძალება თუ სხვა, აბსოლუტურად არასწორია.

მე არ მესმის, რას მოიტანს ასეთი რამე – არც განათლების კუთხით არ მესმის და არც რწმენის თვალსაზრისით. რეალურად არაფრის მომტანია. სამწუხაროა, რომ განათლების სისტემას და საერთოდ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს ეს არ ესმით.

– ხომ არ ხედავთ იმას, რომ საპატრიარქო ზედმეტად ერევა სახელმწიფო საქმეებში ზოგადად და ამ კონკრეტულ საკითხშიც ხომ არ გამოჩნდა ეს, მაშინ როდესაც კონკორდატით გამიჯნულია სახელმწიფოსა და ეკლესიის საქმეები?

– მე როდესაც განათლების მინისტრი ვიყავი, ხშირად მქონდა შეხვედრები მის უწმინდესობასთან ასეთ საკითხებზე. როდესაც იყო საუბარი, ვთქვათ, ლექციებზე, როდესაც იყო საუბარი სასულიერო პირების რიგ შეხვედრებზე მასწავლებლებთან თუ მოსწავლეებთან, მაშინ მის უწმინდესობას ყოველთვის კარგად ესმოდა, რომ ეს საკითხი იყო ძალიან რთული. ძალიან ცოტაა ასეთი ადამიანი, რომელიც შეძლებს ასეთი საჯარო ლექციებით, მაშინაც კი, თუ ის არ იქნება დაძალება და იქნება ნებაყოფლობითი საუბრები, ილაპარაკოს ამ თემებზე ისე, რომ ეს პოზიტივის მომტანი იყოს.

მე ვსაუბრობ იმ ვითარებაზე, თუ ის იქნება ნებაყოფლობითი, თუმცა ჩვენ რაც საქართველოში ვნახეთ, ეს იყო იძულებითი. მასწავლებლები წაიყვანეს იძულებით, ეს საერთოდ კოშმარი და კატასტროფაა. მაგრამ ნებაყოფლობითი ლექციის დროსაც კი ძალიან ცოტაა ისეთი ლექტორი, რომელსაც შეუძლია ასეთ თემებზე საუბარი ფართო აუდიტორიისთვის. ეს მართლა რთული საკითხია, რაც ყველას არ შეუძლია. ამიტომ, ილია მეორეს აბსოლუტურად კარგად ესმოდა ეს და აბსოლუტურად ნორმალურად იღებდა ჩვენს არგუმენტებს და ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა.

ახლა რა შეიცვალა და როგორია ეს ურთიერთობა, ამის თქმა ჩემთვის ძალიან რთულია. ახლა ჩვენ მხოლოდ საჯარო ინფორმაციას ვხედავთ. შიდა კომუნიკაციები ჩემთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ სხვადასხვა დონეზე არის ჩარევის მცდელობა, იგივე განათლების სისტემაში, რაც ძალიან ცუდია. განსაკუთრებით ბავშვებში, განსაკუთრებით მცირე ასაკის ადამიანებში ასეთი ჩარევა და იძულებითი ღონისძიებები მუშაობს ძალიან ცუდად. რაც უფრო მეტ რამეს დააძალებ ახლა, მით უფრო აგრესიულად მიიღებს ამ დაძალებას.

მე არ მაქვს პრეტენზია, რომ რასაც ვამბობ, ეს არის ჭეშმარიტება. მე ჩემს აზრს გეუბნებით და მივიჩნევ, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი გზა ღმერთთან, ყველა ადამიანი ამ გზას გაივლის. მის იქით რაღაც ჩარჩოებში ჩასმა არასწორია და ეს არც ქვეყნისთვის იქნება სასიკეთო.

– როცა განათლების სამინისტრო ერთვება ამ პროცესში, ეს რას ნიშნავს თქვენთვის?

– ეს ჩემთვის არის ის, რომ განათლების სამინისტროს არ ესმის არც განათლების პრინციპი და არც რწმენის მნიშვნელობა. მას არ ესმის ის, რაზეც ჩვენ ახლა ვისაუბრეთ, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი გზა გასავლელი ღმერთისკენ. ნებისმიერი იძულება, რომელიც რწმენასთან არის დაკავშირებული, არაფერს კარგს არ მოუტანს არც განათლების სისტემას და არც ეკლესიას. ეს არის ჩემი სუბიექტური აზრი.

– ის, რომ მასწავლებლები მიჰყავთ ლექციებზე იძულებით, არის თუ არა მათი უფლებების დარღვევა, მით უმეტეს მაშინ, როცა თანამედროვე სამყაროზე ვსაუბრობთ და დემოკრატიაზე გვაქვს პრეტენზია?

– ბოლო წლებში საქართველოში ტრენდი

„ჩემი მინისტრობისას ილია მეორეს ეს კარგად ესმოდა. ბოლო წლებში მასწავლებლების გამოყენება ტრენდად იქცა“

გახდა მასწავლებლების გამოყენება. ისინი შეგიძლია, დღეს აქ წაიყვანო, ხვალ იქ წაიყვანო და ავტობუსით ატარო იქით-აქეთ. ამ ხელისუფლებას ისინი დაჰყავს სხვადასხვა ღონისძიებაზე, ატარებენ ავტობუსებით და იყენებენ პედაგოგების რესურსს ამისთვის. ეს არასწორია.

ძალიან მარტივ მაგალითს გეტყვით. მასწავლებლების წარმატების ძალიან დიდი პროცენტი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდი ავტორიტეტია მასწავლებელი მოსწავლისთვის.

მასწავლებლის აქეთ-იქით ტარება ავტობუსით სხვადასხვა ღონისძიებაზე მოსწავლეებში აკნინებს ამ მასწავლებლის ავტორიტეტს, იმიტომ, რომ ის არ არის მოსწავლისთვის ავტორიტეტი, რადგან მოსწავლე ხედავს, რომ მასწავლებლის რესურსს იყენებს ხელისუფლება. ამ კუთხითაც არასწორია ეს.

მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ბავშვს და ის უნდა იყოს ავტორიტეტი ბავშვისთვის და არა რესურსი ამა თუ იმ ღონისძიებებზე დარბაზების შესავსებად.

– განათლების რეფორმასთან დაკავშირებით პოზიცია ხომ არ შეგიცვლიათ და როგორ აფასებთ განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს – რამდენად სწორად ან არასწორად მიდის პროცესი?

– თქვენ თუ მეტყვით, რა რეფორმა დაიწყეს და მიიყვანეს ბოლომდე, ძალიან მადლობელი ვიქნები, იმიტომ, რომ ერთადერთი, რაც გააკეთეს, ეს არის გამოცდების გაუქმება. სხვა რამე არის?

– სხვა დეტალები ჯერჯერობით არც ჩემთვის არის ცნობილი.

– სამწუხაროდ, ამ ხელისუფლების ყველა რეფორმა განათლების სფეროში მიდის იქამდე, რომ გააუქმეს გამოცდები. ეს აბსოლუტურად არასწორია. სამწუხაროდ, ამ შედეგებს მომავალში დავინახავთ. ეგ არის ძალიან სამწუხარო.

განათლების სფეროში არანაირი ფუნდამენტური ცვლილება, რეფორმები არ ხორციელდება, რაც ამ სფეროსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაც გაკეთდა 10 წლის წინ ან 7 წლის წინ, საკმარისია. არ არის საკმარისი, იმიტომ, რომ გლობალიზაციის პირობებში ყველაზე სწრაფად ვითარდება განათლების სისტემა. ყველაზე სწრაფად ეს სფერო ვითარდება და ერთწლიანი ჩამორჩენაც კი ძალიან მტკივნეულია თაობებისთვის.

ჩვენი ახალგაზრდა თაობა არა ერთმანეთის კონკურენტები, არამედ კონკურენტები არიან თავიანთი თაობის ბავშვებისა თუ ახალგაზრდების ამერიკიდან, გერმანიიდან, ჩინეთიდან თუ საფრანგეთიდან. იქ სისტემა ვითარდება, ჩვენთან კი სულ ჭაობია.

ვამაყობთ, ჩვენ კი არა, უფრო სწორად, ეს ხელისუფლება ამაყობს იმით, რომ გამოცდები გააუქმა. თუ თქვენ დამისახელებთ კიდევ ერთ ქვეყანას, სადაც გამოცდები გაუქმდა ან სადმე თუ შეიძლება გამოცდების გაუქმებით შედეგის მიღწევა, ძალიან დიდად მადლობელი დაგრჩებით.

სუსმა დიდი ოდენობით სხვისი ნივთის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში 2018 წლის 14 დეკემბერს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე დიდი ოდენობით თაღლითობისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე. აღნიშნულ საქმეზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, შპს „ბილდინგ-დეველოპერის“ დირექტორი ალექსი ს. სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2017 წლის 8 აგვისტოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „ბილდინგ-დეველოპერს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურში წყლის ცენტრალური მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით. შპს „ბილდინგ-დეველოპერის“ დირექტორმა ალექსი ს-მ არასრულყოფილად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, რის შედეგადაც თაღლითურად დაეუფლა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას 21921.86 ლარის ოდენობით.

გამოძიება დიდი ოდენობით სხვისი ნივთის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

კალაძემ კახაძის გამარჯვება შედეგების გამოცხადებამდე იზეიმა

ირმა ნადირაშვილი: „ეს არჩევნები იყო კრიმინალისა და ხელისუფლების შერწყმა“

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 9 ივნისს, ჩვენი მოსახლეობა კიდევ ერთხელ დარწმუნდა იმაში, რომ როცა მმართველ პარტიას სჭირდება, ხელისუფლება და კრიმინალები ერთ მხარეს დგებიან.

9 ივნისს მთაწმინდაზე შუალედური არჩევნების მეორე ტური გაიმართა, სადაც დეპუტატის მანდატისთვის ერთმანეთს „ოცნების“ ფალავანი ლადო კახაძე და „ევროპული საქართველოს“ მხარდაჭერილი შალვა შავგულიძე ეცილებოდნენ.

პარლამენტში გინეკოლოგ ლადო კახაძის გასაყვანად „ოცნებამ“ მთელი სახელისუფლებო რესურსის მობილიზება მოახდინა. კოორდინატორი ქალებისა და ძველი ბიჭების გარეშე არც ამ არჩევნებს ჩაუვლია.

ლადო კახაძის მხარდასაჭერად ქვეყნის პირველი მეოცნებეც მივიდა. ივანიშვილმა დილითვე განაცხადა, რომ ამ არჩევნებს მათი რჩეული მოიგებდა.

ისე, მაგარი უცნაურია ეს პოლიტიკა. სამი წლის წინ ლადო კახაძე ასევე მთაწმინდაზე იყრიდა კენჭს და ივანიშვილის ხელისუფლების დასრულების აუცილებლობაზე საუბრობდა. მაშინ ის პაატა ბურჭულაძის პარტიას წარმოადგენდა.

ოდესღაც „ოცნების“ პოლიტიკური დასამარების მსურველის გასამარჯვებლად ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც გაისარჯნენ. პარტიას არც დედაქალაქის მერი კახა კალაძე ჩამორჩა.

სხვების მსგავსად, ისიც დილიდან ღაღადებდა მათი კანდიდატის გამარჯვებაზე. ის კახაძის გამარჯვებაში იმდენად დარწმუნებული იყო, რომ გამარჯვება ლამის საარჩევნო უბნების დახურვამდე იზეიმა.

ხმის მიცემის პროცესი სულ რამდენიმე წუთის დასრულებული იყო, როცა კალაძემ მედიის დახმარებით კახაძეს გამარჯვება მიულოცა.

– დიდი უპირატესობა მაძლევს საშუალებას, რომ მივულოცო ბატონ ლადო კახაძეს, – განაცხადა კახა კალაძემ.

რიგითი კახაძის გადეპუტატება შს მინისტრ გიორგი გახარიასთვისაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ის საარჩევნო პროცესის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე მიიჭრა უბანზე და თავისი მოქალაქეობრივი ვალი პირნათლად მოიხადა.

ვალმოხდილმა გახარიამ მედიასთან კომენტარიც გააკეთა და ოპოზიციის ბრალდებების გამო აღშფოთებაც გამოთქვა.

– ღიმილისმომგვრელია, როდესაც ინტელექტუალურ ოპოზიციას კრიმინალების დახმარების ასეთი ისტორიების მოგონების გარდა სხვა არგუმენტი არ გააჩნია იმისთვის, რომ არჩევნებში ღირსეულად იბრძოლოს, – აღნიშნა მინისტრმა.

ის საარჩევნო უბნებთან მომხდარ დაპირისპირებებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ პოლიცია კანონის ჩარჩოში იმოქმედებს.

– იყო რამდენიმე წვრილმანი შემთხვევა, სადაც პოლიციამ შესაბამისი რეაგირება მოახდინა. დღის ბოლოს გვექნება სრული ინფორმაცია, არის ეს ისეთი სიმძიმის დანაშაულები, რომლებზეც გამოძიება დაიწყება თუ არა, – განაცხადა გახარიამ.

გახარიასგან განსხვავებით, არჩევნებზე განვითარებულ მოვლენებს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა მძიმე უწოდა.

– ეს იყო მძიმე დღე. ეს არჩევნები იყო კრიმინალისა და ხელისუფლების შერწყმა და ამის საშუალებით არჩევნების ჩატარება, – აღნიშნა ნადირაშვილმა.

„ოცნების“ პიროებში ემიგრანტების რიცხვი ძალიან გაიზარდა“

გიორგი ლაღიძე: „ხელისუფლებამ სამუშაო ადგილები თუ არ შექმნა, ხალხი მას გაუშვებს“

გულიკო ბალაძე

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღიძე „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო გიორგი, როგორ მიმდინარეობს პოლიტიკური პროცესები საქართველოში?

– ჩვენს ქვეყანაში ძალიან მძიმე სოციალური ფონია. ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ემიგრაციაშია წასული. ეს განპირობებულია ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობით, უმუშევრობის დონით, რომელიც წლების განმავლობაში იზრდება.

ხელისუფლება ურცხვად იტყუება, რომ ეკონომიკურ მდგომარეობას აუმჯობესებს, სამუშაო ადგილებს ქმნის, რაც არის ფარსი. ამას ყველა ვხედავთ. რეალურად, არსებული ვითარების შეფასება შეიძლება იმით, რა ვითარებაშიც ჩვენი საზოგადოება იმყოფება. დღეს ჩვენს ქვეყანაში უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა. მათ შორის, მძიმეა პოლიტიკურ მდგომარეობაც, რაც ჩვენი საზოგადოების ყოფაზე აისახება.

– ალბათ, უფრო მეტი სამუშაო ადგილის შექმნაა საჭირო, ვიდრე დღეს იქმნება. ისე, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით, უფრო მეტ ადამიანს მიეცა ევროპაში გასვლისა და სამუშაოს ძიების საშუალება.

– ჩვენ არ ვართ მომთაბარე ერი. ჩვენ ვართ ერი, რომელსაც საკუთარი სამშობლო, საკუთარი მიწა-წყალი ძალიან უყვარს. თუ საქართველოში ქართველი კაცი იქნება დასაქმებული და საკუთარ ქვეყანაში ნორმალური ანაზღაურება ექნება, ის არსადაც არ წავა. როდესაც ადამიანს ოჯახი ჰყავს გამოსაკვები და საერთოდ არ მუშაობს ან მიზერული ანაზღაურება აქვს და არაფერში ჰყოფნის, იძულებულია, საკუთარი ქვეყანა დატოვოს და წავიდეს ევროპის ქვეყნებში ან სხვაგან.

ეს არის იძულებითი ემიგრაცია. ვერც ერთმა ხელისუფლებამ – ვერც შევარდნაძის, ვერც სააკაშვილისა და ვერც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ეს პრობლემა ვერ მოაგვარა. პირიქით, ამ თვალსაზრისით კატასტროფული მაჩვენებელია.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაცილებით გაიზარდა ჩვენი ემიგრანტების რიცხვი. ეს ძალიან ცუდია იმ ფონზე, როდესაც საქართველოში შემოდიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები და შეიძლება, სულ მალე ჩვენს ქვეყანაში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდეთ.

„ქართულმა ოცნებამ“ ქართველ ხალხს იმედები გაუცრუა. ქართველი საზოგადოება მოატყუა. ამიტომ ხელისუფლება შესაცვლელია.

– თუ ხელისუფლება შესაცვლელია, რატომ ვერ ხერხდება ხელისუფლების შეცვლა?

– ამ ეტაპამდე ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით ვერ მოხერხდა, რადგან „ქართულ ოცნებას“ ძალიან დიდი რესურსი გააჩნია. მათ შორის, ფინანსური რესურსი.

– მე მგონი, მხოლოდ რესურსი ვერ უშველის, სხვა მიზეზიც უნდა იყოს.

– სხვა მიზეზი ის არის, რომ პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი დისკრედიტებულია. ქართველი საზოგადოება, სამწუხაროდ, არ ენდობა ოპოზიციური პარტიების ნაწილს.

– მთავარი მიზეზი ეგ არის, რომ ოპოზიცია დისკრედიტებულია და სამართლიანადაც.

– დიახ, ოპოზიცია სამართლიანად არის დისკრედიტებული. თუმცა, ამ შემთხვევაში ნაცმოძრაობასა და მის განაყოფ ძალებს ვგულისხმობ. მაგრამ, ფაქტია, რომ დღეს ჩვენს ქვეყანას ცვლილებები ესაჭიროება. ეს ჩვენი საზოგადოების დაკვეთაა.

ყოველი არჩევნების წინ ისინი ააქტიურებენ სააკაშვილის ფაქტორს. ეს საკმაოდ მიზანმიმართულად ხდება. დღევანდელ ხელისუფლებასა და სააკაშვილს შორის ტოლობის ნიშანს სვამენ და ხალხს აშინებენ – გინდათ ძალადობა, ჩაგვრა, აქციების დარბევა?

– თვითონ სააკაშვილიც არ აკლებს ხელს. ყოველ არჩევნებზე სააკაშვილი და ნაციონალები და მათი განაყოფებიც აქტიურდებიან და იბრძვიან ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.

– სამწუხარო რეალობაა. ეს ორი პოლიტიკური ძალა ერთად საკმაოდ კარგად გრძნობს თავს. ისინი ერთმანეთს შეერწყნენ და საკმაოდ შეხმატკბილებული არიან. უბრალოდ, მათ როლები აქვთ განაწილებული. ამ ფონზე ყველაზე მეტად ქართველი ხალხი და ქართველი საზოგადოება ზარალდება.

– საფრანგეთის ტყეები სავსეა ქართველებით, რომლებიც სამუშაოს საძებრად არიან ჩასული, იქ არიან შეყუჟული.

– დიახ, ღია ცის ქვეშ სძინავთ ქართველებს.

– ჩვენც გვაქვს ტყეები და დასამუშავებელი ადგილები, მაგრამ ბევრს არ უნდა მიწაზე მუშაობა. ვინც ვერ შოულობს იქ სამუშაოს, ჩამოვიდეს და თავისი მიწა დაამუშაოს, არ ჯობია?

– აქ არ არის შესაბამისი ანაზღაურება. ქართველს კაცს, რომელიც მიწას ამუშავებს, იმდენად დაბალ ფასში უწევს თავისი პროდუქციის გაყიდვა, რომ ის, უბრალოდ, გაწეულ ხარჯებსაც ვერ იღებს. სამწუხაროდ, მას უკვე აღარ უღირს აქ მუშაობა. მე ერთ-ერთ ფაქტორად ესეც მიმაჩნია.

– კი მაგრამ, აქ იგივე სოფლის მეურნეობის პროდუქტები ძალიან ძვირი ღირს.

– მე ვისურვებდი, რომ ქართველი კაცი საკუთარ მიწაზე იყოს დასაქმებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თანაც აქ არის ერთი ფაქტორი – ევროპის ქვეყნებმა საქართველოს უსაფრთხო ქვეყნებად გამოცხადება დაიწყეს. ამან ხელი შეუწყო ევროპის ქვეყნებიდან ქართველების დეპორტაციას. საინტერესოა, რა ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს ხელისუფლებამ ევროპის ქვეყნებს.

რანაირად ვართ უსაფრთხო ქვეყანა მაშინ, როდესაც ქვეყანაში 500 ათასზე მეტი დევნილი გვყავს, ქვეყნის შუაგულში ოკუპანტი სახელმწიფოს ჯარები დგანან, დედაქალაქიდან 30 კილომეტრის მოშორებით.

– ქართველებს იტაცებენ და საოკუპაციო რეჟიმის ციხეებში გადაჰყავთ.

– როგორ არის უსაფრთხო ქვეყანა, როდესაც კვირა არ გავა ისე, რომ რამდენიმე გატაცების ფაქტი არ მოხდეს, რუსმა ოკუპანტებმა და მათმა მხარდამჭერმა სეპარატისტებმა საქართველოს მოქალაქეები არ გაიტაცონ. არ ვიცი, რა კრიტერიუმით აფასებენ საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად.

– ალბათ, საქართველოს უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი ხელისუფლებას იმისთვის უნდა, რომ რაც შეიძლება მეტი ტურისტი შემოვიდეს.

– მესმის. მედალს ამ შემთხვევაში ორი მხარე აქვს. ეს ერთ-ერთი ფაქტორია, მაგრამ ამ საკითხს ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვის კუთხით შევხედოთ. ცალსახაა, რომ ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც სარჩოს საშოვნელად არიან უცხოეთში წასული, ამ კამპანიის შედეგად სერიოზულად დაზარალდნენ.

– ცხადია. ვინც მოასწრო მოქალაქეობის მიღება ან ლეგალიზება, ის უსაფრთხოდ გააგრძელებს მუშაობას. ვინც ვერ მოასწრო, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

– ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ ნება იბოძოს და საკუთარი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილები შექმნას, თორემ ამ ხელისუფლებას ქართველი ხალხი არჩევნების გზით აუცილებლად გამოუტანს განაჩენს და შეცვლის. დღეს ხდება ძალაუფლების უზურპაცია.

– ძალაუფლების უზურპაცია როგორ ხდება?

– „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში ჰქონდა საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელიც დაკარგა ეკა ბესელიასა და მისი ჯგუფის გასვლის შემდეგ, თუმცა, ხელისუფლების ყველა შტოს სრული კონტროლის განხორციელებას ცდილობს.

– სრული კონტროლის განხორციელებაში რას გულისხმობთ?

– მაგალითად, სასამართლო ხელისუფლებაში გააფთრებული ბრძოლაა ძალაუფლებისთვის. სასამართლო ხელისუფლებაში არის კლანური მმართველობა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართულმა სახელმწიფომ დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება ვერ მიიღო. მართლაც სამარცხვინო ფაქტია.

დამოუკიდებელი სასამართლო არ გვქონდა არც შევარდნაძის პერიოდში, მით უმეტეს, არ გვქონდა დამოუკიდებელი სასამართლო სააკაშვილის ხელისუფლების დროს, რომელმაც დაიმონა სასამართლო ხელისუფლება – მოსამართლეები გადაქცეული იყვნენ ნოტარიუსებად და პროკურატურის ნების უსიტყვო შემსრულებლებად.

ბიძინა ივანიშვილი სწორედ იმ დაპირებით მოვიდა, რომ სასამართლოში მდგომარეობას გააჯანსაღებდა და სასამართლოს დამოუკიდებელს გახდიდა. თუმცა, მივიღეთ ის, რომ დღესაც დამონებული სასამართლო გვაქვს – მოვახდინეთ მურუსიძის პორტრეტი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიგებში და სასამართლო ხელისუფლებას ასეთი ადამიანების ხელით აკონტროლებენ.

– მურუსიძეები, ცხადია, არ უნდა იყვნენ სასამართლო ხელისუფლებაში, მაგრამ, მინდა გკითხოთ, რამენაირ განსხვავებას სააკაშვილის სასამართლოსა და დღევანდელ სასამართლოს შორის თუ ხედავთ?

– განსხვავებას ნამდვილად ვხედავ. ვხედავ იმასაც, რომ გამამართლებელი განაჩენების რაოდენობამ სტატისტიკური თვალსაზრისით შედარებით მოიმატა, თუ სააკაშვილის პერიოდს შევადარებთ. პროგრესი არის, თუმცა, ფაქტია, რომ რაც გვაქვს, ის არ არის რეფორმირებული, დამოუკიდებელი სასამართლო. ქართველი ხალხი დამოუკიდებელ მართლმსაჯულებას იმსახურებს.

ადამიანი სასამართლოში სამართალს ეძებს. არ შეიძლება, მოსამართლე კერძო ინტერესებიდან გამოდიოდეს. მისთვის უზენაესი კანონი და სამართლიანობა უნდა იყოს. გადაწყვეტილება ამ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა მიიღოს.

როდესაც ადამიანს უსამართლობის განცდა უჩნდება, ქართველი კაცისთვის ამაზე დიდი შეურაცხყოფა რა შეიძლება იყოს. თუ კაცმა სასამართლოში სამართალი ვერ იპოვა, ის აუცილებლად შეცვლის ხელისუფლებას, რომელმაც უსამართლო გარემო დაამკვიდრა სასამართლოში.

– რამდენიმე ტალღოვანი რეფორმა კი ჩაატარეს და სტრუქტურულად ბევრი რამ შეცვალეს, მაგრამ მოსამართლეთა კორპუსი თითქმის იგივე დარჩა.

– კანონები, გარკვეულწილად, სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდშიც კარგი იყო, თუმცა, პოლიტიკური ნება არ იყო და სასამართლო დამონებული ჰყავდა. დღესაც, სამწუხაროდ, არ არის თავისუფალი ნება იმისა, რომ სასამართლო თავისუფალი იყოს. მათ უჭირთ იმის აღიარება, რომ სასამართლოში კლანური მმართველობაა. ეს ძალიან ცუდია.

როგორც ვნახეთ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შორის არიან დღეს მოქმედი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და საქართველოს მთავარი პროკურორი.

უზენაეს სასამართლოში ამ ადამიანების გადანაცვლება ხდება.

რა შეიძინა და როგორ შეიცვალა ნარმანიას ქონება

დედაქალაქის ყოფილი მერის დავით ნარმანიას ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის წევრობის დროს (სემეკი) 2018 წელს ანაზღაურებამ 127.360 ლარი შეადგინა, თსუ-სა და ტექნიკურ უნივერსიტეტში ხელფასის სახით 23 ათას ლარზე მეტი მიიღო. ჯამში, თბილისის ყოფილმა მერმა გასულ წელს 150.750 ლარი გამოიმუშავა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, როგორ შეიცვალა ნარმანიას ქონებრივი მდგომარეობა მერობიდან მარეგულირებელში დასაქმების შემდეგ.

2019 წლის 7 ივნისს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, ნარმანიამ 2018 წელს თბილისში 1.500 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი შეიძინა, რაშიც 180.000 დოლარი გადაიხადა. ის ასევე ფლობს 97 კვადრატული მეტრი ფართობის ბინას თბილისში და 3 415 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს სოფელ კოკში.

დეკლარაციის მიხედვით, ის ფლობს ასევე შპს „ნარმანია, რისერჩ ენდ კონსალტინგის“ 50%-იან წილს, თუმცა მისი საქმიანობით გასულ წელს შემოსავალი არ მიუღია.

მასვე, დეკლარაციის მიხედვით, 110.000 დოლარის ოდენობის სესხი ჰქონდა, რომლის შედეგადაც მისმა გასავალმა 8.556.21 დოლარი შეადგინა.

დავით ნარმანიას ჰყავს მეუღლე და 3 შვილი. ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, მისი მეუღლე ფლობს 3.584 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს სოფელ ბოშურში. მისმა ანაზღაურებამ ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში 1.020 ლარი შეადგინა. ამასთან, ნარმანიას მეუღლეს დეკლარაციის შევსების მომენტში საბანკო ანგარიშზე 60,7 ლარი ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ნარმანიამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით 11.500 ლარი მიიღო, უძრავი ქონების (ბინის) რეალიზაციით კი – 105.000 დოლარი.

რაც შეეხება წინა წელს შევსებულ დეკლარაციას, მერობისას ნარმანიას მიერ 2017 წლის 30 ივნისს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, ნარმანიას ანაზღაურებამ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის წევრობისას 2017 წლის 22 დეკემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში 3400 ლარი შეადგინა. გარდა სემეკ-ში მიღებული ანაზღაურებისა, დავით ნარმანიას შემოსავალმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორობისას გასული წლის განმავლობაში 25.304 ლარი; ხოლო თბილისის მერის პოსტზე 2017 წლის 1-ლი იანვრიდან 13 ნოემბრამდე

პერიოდში 33.011,43 ლარი შეადგინა.

2017 წლის დეკლარაციის მიხედვით, ყოფილ მერს 50.000 დოლარის ოდენობის სესხი ჰქონდა, ამავე წელს მისმა გასავალმა 1.206.54 დოლარი შეადგინა.

BPN

სათამაშო ბიზნესის საკითხის გატანაზე ერთი წლის წინ გვქონდა სერიოზული წინააღმდეგობა იმავე გახარიასთან

სათამაშო ბიზნესის პოპულარობა წლიდან წლამდე საგრძნობლად იზრდება. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ინტერნეტიზაციის საყოველთაო პროგრამის განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვნად იზრდება ონლაინ აზარტულ თამაშებზე ხელმისაწვდომობა და, პრაქტიკულად, ყველა მსურველს პირადი კაზინოს მოწყობა სახლში შეუძლია. შესაბამისად, აზარტული თამაშებით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური ნეგატიური ეფექტები საკმაოდ ბევრი ოჯახისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

ოფიციალური სტატისტიკით ირკვევა, რომ საქართველოში სათამაშო ბიზნესის ბრუნვა უფრო მაღალია, ვიდრე თუნდაც სუპერმარკეტებისა და სასურსათო მაღაზიების ერთად აღებული. მეტიც, აზარტულ თამაშებში საქართველოში უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე საწვავში ან რესტორნებსა და სხვა კვების ობიექტებში. მაგალითად, 2017 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვამ 5,650 მლრდ ლარი შეადგინა, რაც საცალო ვაჭრობის არასპეციალიზებული მაღაზიების ბრუნვასთან შედარებით თითქმის 1,6 მლრდ ლარით მეტია. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს საცალო ვაჭრობის არასპეციალიზებული მაღაზიების ბრუნვამ (სუპერმარკეტები, უბნის მაღაზიები და სხვ.) 4,094 მლრდ ლარი შეადგინა. თვალსაჩინოებისთვის, საწვავის ბაზრის ბრუნვის მოცულობა შარშან 2,343 მლრდ ლარი იყო, რესტორნებისა და სასტუმროების მთლიან ბრუნვას კი სათამაშო ბიზნესის ბრუნვა თითქმის 4,1 მლრდ ლარით აღემატება. კერძოდ, სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს „განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული დაწესებულებების“ ბრუნვამ სულ 1,559 მლრდ ლარი შეადგინა. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში ადამიანები, როგორც ჩვენი მოქალაქეები, ისე უცხო ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები, აზარტულ თამაშებში იმაზე მეტს ხარჯავენ, ვიდრე საწვავში, კვებასა და სასტუმრო-რესტორნებში.

– ყოველი მეორე ახალგაზრდაა ჩართული აზარტულ თამაშებში – რა გახდა ამ მაფიის გადატეხა, რა გაუბედაობაა.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ლევან გოგიჩაიშვილმა ბახტაძეს ჰკითხა, თუ რატომ ჭიანურდება აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით რეგულაციების შემოღება.

– ბატონო მამუკა, როდის შემოიტანთ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით რეგულაციებს, რომელსაც თქვენ შეგვპირდით ერთი წლის წინ და ყოველთვიურად აჭიანურებთ. ჩვენც გვატყუებთ, საპატრიარქოსაც ატყუებთ და საქართველოს მოქალაქეებსაც. ყოველი მეორე ახალგაზრდაა ჩართული აზარტულ თამაშებში. რა გახდა ამ მაფიის გადატეხა, რა გაუბედაობაა. თქვენ ჩემზე კარგად არ იცით, რა პრობლემის წინაშე დგას ქვეყანა? რა გახდა ამ აზარტული თამაშების რეგულაციების შემოტანა ან რა იყო იმ რეკლამის კანონის ჩაგდება? თქვენც იყავით მონაწილე, რომ ეს ჩავარდნილიყო. ჩემს გამო გააკეთეთ? ბატონო მამუკა, შემოიტანეთ აზარტული თამაშების შესახებ რეგულაციები და იმდენ ტაშს დაგიკრავთ, ცხოვრებაში ეს უმრავლესობა რომ ვერ დაგიკრავთ, ოღონდ თქვენ შემოიტანეთ, – მიმართა გოგიჩაიშვილმა მამუკა ბახტაძეს.

მართლა ხომ აქვს ყველაფერს თავისი ჩარჩოები – აღმასრულებელ ხელისუფლებაში მე ვიყავი აზარტული თამაშების შესახებ პროექტის ინიციატორი, რომელიც პარლამენტში განლება.

ამის შესახებ პარლამენტში ინტერპელაციის ფორმატში მოწვეულმა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ დეპუტატ ლევან გოგიჩაიშვილის პასუხად განაცხადა.

– თუ გსურთ,ჩემი დამოკიდებულება გაიგოთ, კიდევ ერთხელ მსურს ყველას მოვუწოდო, მათ შორის ჩემს პოლიტიკურ გუნდს, ეს კანონი რაც შეიძლება დროულად არის მისაღები. ხომ აქვს ყველაფერს თავისი ჩარჩო – მე დამაბრალო, რომ აზარტული თამაშების შესახებ კანონის მიღება არ მინდა, როცა მე გავაკეთე პროექტის ინიცირება ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრობის დროს. მესმის, რომ 2020 წლის არჩევებისთვის ემზადებით, მაგრამ საზოგადოება ყველაფერს უყურებს და ყველაფერს თავისი ჩარჩოები აქვს, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ლევან გოგიჩაიშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში არსებობენ ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან აზარტული თამაშების წინააღმდეგ კანონის მიღებას.

– ამ კითხვაზე პასუხი მათ უნდა გასცენ. მე უკვე მრჩება განცდა, რომ ისინი ვერ ერევიან ამ გავლენებს,ამ მაფიის ზეწოლასა და ადამიანებს, რომლებიც ამ გავლენის ქვეშ არიან. აბა დღეს ადამიანი ძალიან ემოციურად მიწოდებს 2020 წლისთვის მაფიქრალ ადამიანს და ამბობს: ლევან, შენ ახლა არ გრცხვენია, რას მეუბნები?! ხომ იცი, რამხელა ენერგია მაქვს ამაში ჩადებული. ღმერთი რჯული, არ ვუკარგავ ამას, მართლა, როდესაც ჩვენ ამ საკითხებს განვიხილავდით, ერთი წლის წინ და ცოტა ადრე და გვქონდა სერიოზული წინააღმდეგობა იგივე გახარიასთან, რომელიც იყო ეკონომიკის მინისტრი და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამ რეგულაციების გატანას. მამუკა პოზიციას ძალიან სწორი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ როცა პრემიერ-მინისტრი გახდა და მთელი ძალაუფლება ხელში აიღო, დიდი ბოდიშით, ერთი წელი სად არის?! მე მას ვუთხარი, სად ხარ ერთი წელი, შემოიტანე ეს საკითხი, – განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა.

BFM

კალაძემ „ლაგუნა ვერესთან“ გზის გაფართოების პროექტის პრობლემები დაასახელა

– „ლაგუნა ვერესთან“ გზის გაფართოება მოძრაობას განტვირთავს, თუმცა საცობი 100 მეტრის მოშორებით, ხიდებთან გაჩნდება, ამიტომ ეს გაკეთებულ საქმედ ვერ ჩაითვლება.

ამის შესახებ „შაბათის ქრონიკის“ ეთერში დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, გზების გაფართოება არ არის საცობების პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა და ამ მიმართულებით კონცეპტუალური მიდგომაა საჭირო.

– ჩვენ წელიწად-ნახევარია ვმუშაობთ ფრანგულ კომპანია „სისტრასთან“ და, სხვათა შორის ძალიან შედეგიანად. რამდენიმე თვეში გვექნება სრული პროექტი იმის, თუ როგორ უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაწყობა, როგორ უნდა მოძრაობდეს ავტობუსები მეტროსთან მიმართებით, გვჭირდება თუ არა მიკროავტობუსები. ეს ყველაფერი მიმართული იქნება იმისკენ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყოს ყველაზე სწრაფი და ყველაზე კომფორტული.

რაც შეეხება კონკრეტული ქუჩების გაფართოებას, ჩვენ პრაქტიკულად მოველაპარაკეთ „ლაგუნა ვერესთან“ არსებულ ბენზინგასამართ სადგურებს, ყველა შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ აქ გაჩნდა ერთი პრობლემა. როდესაც „სისტრამ“ მოდელირება გააკეთა, აღმოჩნდა, რომ როდესაც ამ კონკრეტულ მონაკვეთზე გაფართოვდება გზა და მოძრაობა განიტვირთება, საცობი 100 მეტრში, ხიდებთან წარმოიშვება. ამიტომ დახარჯო ამაზე 11 მილიონი ლარი და პრობლემა პრობლემად დაგრჩეს, უბრალოდ ის 100 მეტრით იქით გადაწიო – ეს გაკეთებულ საქმედ ვერ ჩაითვლება. თუმცა ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთ, რათა დავადგინოთ, რა შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართულებაზე დამატებით, რათა ეს პროექტი განხორციელებადი გახდეს, – განაცხადა კალაძემ.

Imedinews

10 ფაქტი ჰაერის დაბინძურებაზე

– დაბინძურებული ჰაერის გამო ყველა საფრთხეში ვართ, რადგან დედამიწაზე ყოველი 10 ადამიანიდან 9 დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს, – განაცხადეს გაერო გარემოს დაცვის მსოფლიო დღეზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გარემოს დაბინძურება ჯანდაცვის მზარდ, გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს და წელიწადში 7 მილიონამდე ადამიანის დაღუპვას იწვევს.

წიაღისეული საწვავის მოხმარება, სატრანსპორტო საშუალებები და საწარმოები არამარტო ჰაერს აბინძურებს, არამედ პლანეტის დათბობის და ნახშირორჟანგის გამოყოფის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამ პრობლემების მოგვარება საყოველთაო ჯანდაცვისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი უნდა იყოს.

იხილეთ მხოლოდ 10 ფაქტი გრძელი სიიდან, თუ რა გავლენას ახდენს ჰაერის დაბინძურება ადამიანის ჯანმრთელობაზე და რამდენად უკავშირდება ეს კლიმატურ ცვლილებებს:

1. ჰაერის დაბინძურება ყოველ 13 წუთში 800 ადამიანს კლავს, 3-ჯერ მეტს, ვიდრე მალარია, ტუბერკულოზი და შიდსი – ერთად აღებული.

2. ზოგიერთი დამბინძურებელი არა მარტო ადგილობრივი ჰაერის დაბინძურებას იწვევს, არამედ ხელს უწყობს კლიმატურ ცვლილებებს. ასეთია მაგალითად, საჭმლის მოსამზადებელი ქურები, დიზელის ძრავები და მეთანი.

3. მთავარ 5 დამბინძურებელს შორის ასახელებენ: წარმოებას (დიზელის გენერატორების, ელექტრო გენერატორების და ქვანახშირის წვის ჩათვლით); ტრანსპორტს (განსაკუთრებით დიზელზე მომუშავე მანქანებს); სოფლის მეურნეობას (მესაქონლეობის ჩათვლით, რომელიც მეთანის და ამონიუმის გამოყოფას იწვევს, ასევე სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების წვას); შენობაში წიაღისეული საწავვის წვას, (მათ შორის, შეშით და სხვა ბიომასის წვით საჭმლის მომზადებას, გათბობას და განათებას); ნარჩენების წვას და ა.შ.

4. შენობის შიგნით დაბინძურებული ჰაერი წელიწადში 3.8 მილიონ ნაადრევ სიკვდილს იწვევს. უმრავლესობა განვითარებად ქვეყნებზე მოდის, 60%-ს ქალები და ბავშვები შეადგენენ.

5. დედამიწაზე ბავშვების 93% ისეთ ადგილზე ცხოვრობს, სადაც ჰაერის დაბინძურება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს აღემატება. 2016 წელს 15 წლამდე ასაკის 600.000 ბავშვი დაიღუპა რესპირატორული ინფექციებით.

6. ჰაერის დაბინძურებას მიეწერება სიკვდილიანობის 26% გულის დაავადებების მქონე პაციენტებში; ინსულტების 24%; 43% – ფილტვების ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებში და 29% – ფილტვის კიბოს მქონეთა შორის. ბავშვებში ჰაერის დაბინძურება ასოცირდება ახალშობილთა მცირე წონასთან, ასთმასთან, კიბოებთან, აუტიზმთან, განუვითარებელ ფილტვებთან და ჯანმრთელობის სხვა პრობლემებთან.

7. დაბალ და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში, ქალაქების 97 პროცენტი, სადაც 100.000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვერ აკმაყოფილებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მინიმალურ სტანდარტებს. მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ასეთი ქალაქების რაოდენობა მხოლოდ 29%-ს შეადგენს.

8. ურბანულ რეგიონებში დაბინძურების 25% სატრანსპორტო მოძრაობას უკავშირდება, 20% შენობებში საწვავის წვას და 15% ინდუსტრიულ აქტივობებს, მათ შორის ელექტროენერგიის წარმოებას.

9. გლობალური დათბობის 2 გრადუსზე დაბლა შენარჩუნებას, რაზეც სახელმწიფოთა მთავრობებმა 2015 წლის პარიზის კლიმატური შეთანხმებით მოილაპარაკეს, 2050 წლამდე მხოლოდ გარემოს დაბინძურების შემცირების ხარჯზე, შეუძლია იხსნას მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე.

10. იმ 15 ქვეყანაში, სადაც პლანეტის დამათბობელი აირების გამოყოფა ყველაზე ინტენსიურად ხდება, ჰაერის დაბინძურების ღირებულება სახელმწიფოს ჯანდაცვისთვის მშპ-ის (მთლიანი შიდა პროდუქტის) 4%-ს შეადგენს. პარიზის შეთანხმება კი გლობალური მშპ-ის მხოლოდ 1%-ის ინვესტიციას ითხოვს.

ამერიკის ხმა

რატომ კარგავენ ჩვენს ბარგს ავიაკომპანიები?

ავიაკომპანიები ყოველდღიურად გვიმტკიცებენ, რომ სულ უფრო ახალ და ინოვაციურ ხერხებს მიმართავენ, რათა მგზავრობისას ჩვენი ბარგი არ დაიკარგოს. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად ათობით მილიონი სამგზავრო ჩანთა იკარგება.

რამდენჯერ გქონიათ შემთხვევა, რომ ბარგის „კარუსელთან“ ლოდინის შემდეგ, თქვენი ნივთები ვერ გიპოვიათ?

ამ უსიამოვნო შემთხვევით იწყება ან სრულდება ზოგიერთი ადამიანის მოგზაურობის ისტორია, რომლებიც დიდი სისწრაფით და გაბრაზებულები მირბიან ავიაკომპანიის წარმომადგენლებთან, რათა გაარკვიონ, სად გაქრა მათი ნივთები.

რატომ ვერ ახერხებს ავიაკომპანიები, გააკონტროლონ მგზავრთა ბარგი მაშინ, როცა ისინი უახლეს ტექნოლოგიებს იყენებენ თვითმფრინავების მართვისა და უსაფრთხოებისთვის?

არის თუ არა პროგრესი?

კომპანია Sita-ს ინფორმაციით, რომელიც საერთაშორისო Iთ პროვაიდერია და რომელიც მგზავრთა ბარგის გადაზიდვებს აკვირდება, 2007 წლის მაჩვენებლით დაიკარგა 46,9 მილიონი სამგზავრო ჩანთა, 2018 წლამდე ეს მონაცემი შემცირდა და მათი მონაცემებით, 2018 წელს სულ 24,8 მილიონი სამგზავრო ჩანთა დაიკარგა. ეს მაშინ, როცა თვითმფრინავით მოგზაურთა რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით თითქმის გაორმაგდა.

კომპანიებმა დროთა განმავლობაში სხვადასხვა ხერხს მიმართეს, რათა დაკარგული ბარგი ადვილად იპოვონ. ამერიკულმა კომპანია Delta-მ შტრიხკოდში, რომელსაც ბარგის სახელურზე აკრავენ, რადიოსიხშირის ინდიკატორი ჩაამონტაჟა. შემდეგ კი ბარგი ავტომატურად კომპიუტერით სკანირდება და მათი აღმოჩენა ძალიან მარტივია.

კომპანია Delta-ს გენერალური დირექტორის თქმით, მათი კომპანია წარმატებით უმკლავდება 99,9% ბარგს, რომელიც მგზავრობისას გადააქვთ.

კომპანია Sita-ს ინფორმაციით, ყველაზე მეტი სამგზავრო ჩანთა ერთი თვითმფრინავიდან მეორეში გადაჯდომისას იკარგება. თუ მგზავრი სწრაფად გარბის მეორე თვითმფრინავისკენ და უსწრებს მის რეისს, ხშირად სამგზავრო ჩანთების გადატანა მცირე პერიოდში ფიზიკურად ვერ ხერხდება. ჩანთების დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი ავიაკომპანიის გადამზიდვია, რომელთაც ხშირად ჩანთები ერევათ ერთმანეთში და კიდევ, ხშირი შემთხვევაა, როცა მგზავრებს, საკუთარის ნაცვლად, სხვისი ბარგი მიაქვთ.

სამგზავრო ბარგის დაკარგვის შემთხვევა იმ გადამზიდ კომპანიებსაც უკავშირდება, რომლებიც რამდენიმე ავიახაზს ემსახურება.

კომპანია Sita-ს განცხადებით, ყველაზე მეტი ბარგი ევროპაში იკარგება.

როგორც ცნობილია, ასოციაცია Iata-მ შეიმუშავა „რეზოლუცია 753“, რომელიც ავალდებულებს ავიაკომპანიებს გააძლიერონ უსაფრთხოება და გააკონტროლონ მგზავრთა ბარგი.

ალბათ, ყველას აინტერესებს, რა ბედი ეწია მათ დაკარგულ ბარგს... კომპანია Sita-ს წარმომადგენელთა განცხადებით, მგზავრთა დაკარგული ჩანთები 1 თვის განმავლობაში ავიაკომპანიის სპეციალურ საწყობში ინახება. შემდეგ ისინი ან მფლობელს უბრუნდება, ან ნადგურდება, ან აუქციონს გადაეცემა.

ბპნ

ბათუმმა ევროპის მზარდი ტურისტული მიმართულების ტიტული — ტურისტული „ოსკარი“ მოიპოვა

ბათუმმა საერთაშორისო ტურისტულ კონკურსში პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა. პორტუგალიაში, კუნძულ მადეირაზე გამართულ World Travel Awards-ის დაჯილდოებაზე ბათუმი ევროპის ყველაზე მზარდ ტურისტულ მიმართულებად დასახელდა.

ბათუმის გარდა, ამ ნომინაციაში ჯილდოსთვის ბაქო (აზერბაიჯანი), დერი (ჩრდილოეთ ირლანდია), კუტნა-გორა (ჩეხეთი), ლუბლიანა (სლოვენია), მატერა (იტალია), მოსტარი (ბოსნია და ჰერცეგოვინა) და სოფია (ბულგარეთი) იბრძოდნენ.

მადეირაზე დაჯილდოების ცერემონიას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტი და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები ესწრებოდნენ.

კონკურსში ხმის მიცემა ნებისმიერ მსურველს 28 აპრილის ჩათვლით ღონისძიების ოფიციალურ საიტზე შეეძლო.

Imedinews

სამტრედიის ქუჩაზე გარდაცვლილი ქალი იპოვეს

8 ივნისს სამტრედიის ქუჩაზე ერთ-ერთ ბინაში პოლიციის თანამშრომლებმა ქალის ცხედარი აღმოაჩინეს.

მასთან ერთად ბინაში კიდევ სამი ქალი იმყოფებოდა. სამივე მათგანი სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა სხვადასხვა კლინიკაში გადაიყვანეს.

ნიუპოსტის ცნობით, 3 ხანშიშესული ქალი დები არიან, მე-4, 29 წლის ქალი, ერთ-ერთის შვილია.

ორ მათგანს ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა. რაც შეეხება მესამე ქალს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და ერთ-ერთი კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ხანშიშესული ქალი კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება.

– სასწრაფო დახმარების მიერ იქნა მოყვანილი მდედრობითი სქესის, დაახლოებით, 75-80 წლის ქალბატონი, სომბოლენტურ მდგომარეობაში, რომელიც, რა თქმა უნდა, კითხვებზე არ პასუხობდა, არაადეკვატური იყო.

ამ ეტაპზე ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა არის მძიმე, იყო ლაბორატორიული და ინსტრუმენტალური კვლევები, იმყოფება შოკის დარბაზში, ანტიშოკური ღონისძიებების საფუძველზე. გარეგანი დაზიანების რაიმე ნიშნები არ ჰქონია. გრძელდება მკურნალობა, დაკვირვება დინამიკაში, – აცხადებს „გერმანული კლინიკის“ ექიმი ზვიად დევდარიანი.

ზუგდიდში ავარიის შედეგად მანქანა ამობრუნდა

2 ადამიანი დაშავდა

ზუგდიდის ცენტრალურ მოედანთან 2 ავტომანქანა ერთმანეთს შეეჯახა, რის შედეგადაც ერთ-ერთი ამობრუნდა. ავარიის შედეგად 2 ადამიანი დაშავდა. ისინი რეფერალურ ჰოსპიტალში არიან მოთავსებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საავადმყოფოში განუცხადეს, დაშავებულებს შესაბამისი კვლევები და მკურნალობა უტარდებათ.

შს სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

მამუკა ხეცურიანს პოლონეთში სამუდამო პატიმრობა ემუქრება

პაულინა დინკოვსკას მკვლელობაში ბრალდებული კიევმა 4 ივნისს ვარშავას გადასცა

პოლონეთის პროკურატურამ საქართველოს მოქალაქეს, 28 წლის ქალის მკვლელობისთვის, ბრალი წაუყენა. ინფორმაციას პოლონური მედია ავრცელებს.

„40 წლის მამუკა ხეცურიანს, საქართველოს მოქალაქეს, ბრალი ედება პაულინა დინკოვსკას სასტიკ მკვლელობაში, რომელიც ქალაქ ლოძში, 2018 წლის 20 ოქტომბერს მოხდა.

აღნიშნული დანაშაულის გამო, ბრალდებულს შესაძლოა შეეფარდოს არანაკლებ 12 წლიანი პატიმრობა, მათ შორის, მოსალოდნელია სამუდამო პატიმრობაც“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

გამოძიების თანახმად, 28 წლის პაულინა დინკოვსკას გაუჩინარების შესახებ პოლიციას 2018 წლის ოქტომბერში შეატყობინეს. ქალმა სახლი 19 ოქტომბერს, პარასკევს საღამოს, მეგობრებთან ერთად დატოვა. იგი ბოლოს, უცნობ მამაკაცთან ერთად, ქალაქ ლოძში, ქუჩის სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს.

გამოძიების თანახმად, პაულინა დინკოვსკა 20 ოქტომბრის დღის პირველ ნახევარშია მოკლული. მისი ცხედარი პოლიციამ 26 ოქტომბერს, ქალაქის ერთ-ერთ სკვერში, პოლიეთილენის პარკში გახვეული იპოვა.

ექსპერტიზის თანახმად, ქალის სხეულზე არსებული დაზიანებები ცემისა და სექსუალური ხასიათის ძალადობაზეც მიუთითებს.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი მამუკა ხეცურიანი კიევში 2018 წლის ნოემბერში დააკავეს. მისი პოლონეთში ექსტრადირების მოთხოვნა უკრაინამ სამშაბათს, 4 ივნისს, დააკმაყოფილა.

პოლონეთის მოქალაქის მკვლელობის საქმეზე კომენტარი გააკეთა ქვეყნის იუსტიციის მინისტრმა.

– ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მამუკა ხეცურიანი უმკაცრესად დაისაჯოს, – განაცხადა ზბიგნევ ჯობრომ.

ლანჩხუთში 19 წლის ლუკა ფაცურია დაჭრეს, რომელიც მეგობარ გოგონასთან ერთად იყო

დააკავეს თ.ბ.

ლანჩხუთში 19 წლის ახალგაზრდა დაჭრეს. ლუკა ფაცურიას ჭრილობები ცივი იარაღით, მუცლის არეში აქვს მიყენებული. შემთხვევა დაჭრილის სახლთან იმ დროს მოხდა, როდესაც ის მეგობარ გოგონასთან ერთად იმყოფებოდა.

ახალგაზრდას სამი პირი დაესხა თავს. ფაცურია ლანჩხუთიდან ქუთაისის კლინიკაშია გადაყვანილი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1 პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, 1998 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობით მსჯავრის ქვეშ მყოფი თ.ბ. დაკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 ივნისს ლანჩხუთში, კოსტავას ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას 1999 წელს დაბადებულ ლ.ფ.-ს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის თანამშრომლებმა დაჭრილი ლ.ფ. საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად თ.ბ. მომხდარიდან რამდენიმე საათში ამხილეს, მოგვიანებით კი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაღობილევში, ნათესავის საცხოვრებელ სახლში დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ძარცვის ბრალდებით თბილისში 20 წლის ნ.ლ. დააკავეს

სამართალდამცველებმა ძარცვის ბრალდებით თბილისში 20 წლის ახალგაზრდა დააკავეს.

ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.ლ.-მ თბილისში ერთ-ერთ მოქალაქეს ხელჩანთა, ფული და პირადი ნივთები გასტაცა.

შსს-ის ცნობით, სამართალდამცველებმა ბრალდებული იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი ნაძარცვი ნივთებით შემთხვევის ადგილიდან მიმალვას ცდილობდა.



პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დაზარალებული მოქალაქის კუთვნილი საფულე, ფული და მობილური ტელეფონი ნივთმტკიცებად ამოიღო.

საგარეჯოში 14 წლის გოგოს გატაცებისა და გაუპატიურების საქმეზე ძებნილი პირი დააკავეს

პოლიციამ 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან სექსუალური კავშირის ბრალდებით ძებნილი პირი დააკავა.

„კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირთან სექსუალური კავშირის ბრალდებით ძებნილი პირი დააკავა.

2015 წლის 09 დეკემბერს, საგარეჯოს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ქ.ბ.-ს მიერ არასრულწლოვან ლ. ბ. თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე. ქ. ბ.-ს, დაუსწრებლად წარედგინა ბრალი 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტზე, ხოლო 2016 წლის 15 ივნისს მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. ამჟამად, მიმდინარეობს აღნიშნული საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში

2019 წლის 4 აპრილს, სკოლის მასწავლებლის განცხადებით, ლ. ბ. მოიტაცეს. საქმეზე გამოკითხულმა ლ. ბ. განმარტა, რომ იგი ცოლად გაჰყვა ძებნილ ქ. ბ.-ს. აღნიშნულ შემთხვევაზე გამოძიება სსკ-ს 143-ე მუხლით დაიწყო.

მიმდინარე წლის 9 ივნისს პოლიციამ ძებნილი ქ.ბ. დააკავა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით გრძელდება,“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თბილისის ზღვის ფსკერიდან გონდაკარგული ტურისტი ამოიყვანეს

მაშველებმა თბილისის ზღვაზე ახალგაზრდა მამაკაცი გადაარჩინეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წყალზე მაშველებმა, თბილისის ზღვიდან უგონო მდგომარეობაში მყოფი ტურისტი, 17 წლის მამაკაცი ამოიყვანეს.

მაშველმა კოშკურიდან ახალგაზრდა მამაკაცი შეამჩნია, რომელიც წყლიდან გამოსვლას ვერ ახერხებდა და იხრჩობოდა. მან დახმარება გამოიძახა, თავად კი დაუყონებლივ დასახმარებლად გაცურა. წყალზე მაშველებმა ახალგაზრდა მამაკაცი ზღვის ფსკერზე იპოვნეს. ნაპირზე ამოყვანის შემდეგ მას პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება მაშველებმა გაუწიეს, რის შემდეგაც მამაკაცი გონს მოვიდა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები. გადარჩენილი ტურისტი სამედიცინო ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა, სადაც მას შესაბამისი მკურნალობა უტარდება“, – აღნიშნულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე, 25 წლამდე მამაკაცი დაჭრეს

თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე, 25 წლამდე მამაკაცი დაჭრეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას.

შსს-ს ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე დაკავებულია ერთი პირი.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით, 1984 წელს დაბადებული ი.ქ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 8 ივნისს თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე 1994 წელს დაბადებულ მ.ჩ.-ს ბასრი საგნით ჭრილობები მიაყენა. ძველი თბილისის სამმართველოს და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ი.ქ. შემთხვევის ადგილზევე დააკავეს,“ – აცხადებენ შსს-ში.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

მოლდოვის პარლამენტმა ქვეყანა ოლიგარქების მიერ დაპყრობილად გამოაცხადა

პრეზიდენტი დოდონი საკონსტიტუციო სასამართლომ გადააყენა

მოლდოვის პარლამენტმა ახალი პრემიერი აირჩია. ეს პოსტი პროდასავლური ორიენტაციის მაია სანდუს ერგო. ის ორგანიზაცია „მოქმედება და სოლიდარობის“ ლიდერია.

მაია გრიგორის ასული სანდუ 1972 წელს დაიბადა. დაამთავრა მოლდოვის სახელმწიფოს მართვის აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, აგრეთვე – ჰარვარდის უნივერსიტეტი. წლების განმავლობაში მოლდოვის სახელმწიფო სტრუქტურებში წამყვანი თანამდებობები ეკავა. თავი გამოიჩინა, როგორც პროდასავლური ორიენტაციის მოღვაწემ, აგრეთვე, როგორც კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლმა.

ექსპერტები სანდუს არჩევას მოლდოვაში შიდა დაპირისპირების გამძაფრებას უკავშირებენ. გარკვეულ ძალებს, რომელთაც განეკუთვნებიან პრორუსული ორიენტაციას სოციალისტებიც (ლიდერი პრეზიდენტი დოდონი), სურთ, ხელისუფლებას ჩამოაცილონ ოლიგარქი პლოხოტნიუკი.

ამან განაპირობა სოციალისტებისა და პროდასავლური ორიენტაციის სანდუს მომხრეთა ალიანსი.

– სოციალისტებს პლოხოტნიუკი ყელში ძვალივით ეჩხირებათ. სანდუს კი გარდამავალ ფიგურად მიიჩნევენ, – წერს ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

სანდუს არჩევას წინ უძღოდა პარლამენტის მიერ მიღებული დეკლარაცია, რომლის ძალითაც მოლდოვა ოლიგარქების მიერ დაპყრობილ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

– მოლდოვის სახელმწიფო ინსტიტუტები ოლიგარქების მიერაა დაპყრობილი! კანონი არ კანონობს, ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელება, – ნათქვამია დეკლარაციაში.

სანდუს არჩევას პლოხოტნიუკის მომხრეების კონტრსვლა მოჰყვა. მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლომ გადაყენებულად გამოაცხადა სოციალისტების ლიდერი, მოლდოვის ამჟამინდელი პრეზიდენტი დოდონი. მის ნაცვლად პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დროებით ექსპრემიერ პავლე ფილიპს დაეკისრა.

– განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, – ნათქვამია საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებაში.

მიუხედავად ამისა, დოდონი სასამართლოსადმი დამორჩილებას არ აპირებს. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ მოლდოვის პარლამენტმა გააკეთა ის, რაც ხალხს სურს, ანუ დანიშნა ახალი პრემიერი და ჩამოაყალიბა ახალი საპარლამენტო უმრავლესობა.

– ეს როგორც ჩვენმა ხალხმა, ასევე ჩვენმა პარტნიორებმა, უწინარეს ყოვლისა, რუსეთმა და დასავლეთმა, აღიარეს. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას, ის პლოხოტნიუკის მაფიის შეკვეთით არის მიღებული, – აცხადებს დოდონი.

პოლონეთი უკრაინას ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაში დაეხმარება

პოლონეთის სენატის სპიკერმა კარჩევსკიმ განაცხადა, რომ საფრთხე, რომელიც რუსეთიდან მომდინარეობს, ნატოს ერთიანობას განაპირობებს.

– დღეს ნატო ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტია. მოსკოვის ყველა მცდელობა, გახლიჩოს ნატო, ამაოა, – თვლის პოლონელი პოლიტიკოსი.

კარჩევსკიმ განაცხადა, რომ ნატო, ისევე, როგორც ევროკავშირი, მხოლოდ მოიგებს, თუ უკრაინა მისი წევრი გახდება. უკრაინელებმა ბრძოლის ველზე დაამტკიცეს, რომ კარგი მეომრები არიან. შესაბამისად, მათი გამოცდილება ევროპას ძალიან სჭირდება.

– პოლონეთი დაეხმარება უკრაინას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაში! ამ საქმეში პოლონეთს მხარს უჭერს ლიტვაც. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ უკრაინას ნატოშიც მიიღებენ და ევროკავშირშიც, – თქვა კარჩევსკიმ.

უკრაინის პარლამენტის სპიკერმა პარუბიიმ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ უკრაინამ ევროინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამან რუსეთის აგრესია განაპირობა. მიუხედავად ამისა, ეს მთავარს ვერ შეცვლის და უკრაინა არჩეულ კურსს არ გადაუხვევს.

– 2025, მაქსიმუმ 2027 წელს უკრაინა ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდება, – განაცხადა პარუბიიმ.

ვენესუელამ კოლუმბიასთან საზღვარი გახსნა

ოთხთვიანი დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ ვენესუელამ კოლუმბიასთან საზღვარი გახსნა.

საზღვრის გახსნის პირველივე დღეს ათასობით ადამიანმა გადაკვეთა ქვეყნებს შორის საზღვარი.

საზღვრის ჩაკეტვამ განსაკუთრებით ის ვენესუელელები დააზარალა, რომლებიც კოლუმბიის საზღვართან ახლოს ცხოვრობდნენ და თითქმის ყოველდღე კვეთდნენ სახელმწიფო საზღვარს სხვადასხვა მიზნის გამო.

საზღვრის ჩაკეტვის შესახებ გადაწყვეტილება ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ თებერვალში მას შემდეგ მიიღო, რაც ვენესუელის ოპოზიციის ლიდერმა ხუან გუაიდომ გადაწყვიტა, აშშ-ის მიერ გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარება კოლუმბიის საზღვრიდან შემოეტანა.

ამის შემდეგ ნიკოლას მადურომ კოლუმბიასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა და კოლუმბიელ დიპლომატებს ქვეყნის დასატოვებლად 24 საათი მისცა.

აშშ და მექსიკა მიგრაციის საკითხებზე შეთანხმდნენ

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მექსიკასთან მიგრაციის საკითხებზე შეთანხმება მიღწეულია.

– ჩვენ მექსიკის მიმართ დამატებით საბაჟო გადასახადს არ შემოვიღებთ, სანაცვლოდ მექსიკელები უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ზომებს მიიღებენ, – თქვა ტრამპმა.

მექსიკის ნაციონალურმა გვარდიამ აშშ-მექსიკის საზღვრის პატრულირება გააძლიერა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

მოუხერხებელმა ქურდებმა შემთხვევით ბანკომატი დაადუღეს

ამერიკის ფლორიდის შტატში ორი მძარცველი შეეცადა, ბანკომატი სარჩილავით გაეტეხათ. ამ ინფორმაციას ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ოკალუსის ოლქის პოლიცია ავრცელებს.

ინციდენტი ხუთშაბათს კუნძულ ოკალუსზე მოხდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთ მძარცველს ხელში ძალაყინი ეჭირა და მიდამოს ათვალიერებდა, მეორე კი ამ დროს ბანკომატის გახსნას სარჩილავის გამოყენებით ცდილობდა.

საბოლოოდ მოუხერხებელმა ქურდებმა ფიასკო განიცადეს. იმის მაგივრად, რომ ბანკომატი გაეხსნათ და ფული გამოეღოთ, მათ ის მჭიდროდ დაადუღეს და ხელცარიელები წავიდნენ.

პოლიციამ საქმის გამოძიება დაიწყო და დამნაშავეებზე ძებნა გამოცხადდა.

ქლოი კარდაშიანს ყოფილ ქმარზე მოგონებებისგან გათავისუფლება სოლიდური თანა დაუჯდა

ამერიკული რეალიტი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე ქლოი კარდაშიანმა 200 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა სახლის გადაკეთებაში, სადაც ის თავის ყოფილ მეუღლესთან, კალათბურთელ ტრისტან ტომპსონთან ერთად ცხოვრობდა.

რეალიტი-შოუს ერთ-ერთი ვარსკვლავის თქმით, ის თავის გოგონა ტრუსთან ერთად ნახევარი წლით ქირით საცხოვრებლად გადავიდა და სახლში დასაბრუნებლად მხოლოდ მას შემდეგ იქნებოდა მზად, რაც სახლში აღარაფერი დარჩებოდა ისეთი, რაც მას ტომპსონს გაახსენებდა. ასევე კარდაშიანმა თავიდან მოიშორა ყოფილი მეუღლის ყველა ფოტოსურათი.

ქლოი კარდაშიანი კალათბურთელ ტრისტან ტომპსონს 2016 წლიდან 2019 წლის ჩათვლით ხვდებოდა. გასული წლის აპრილში მათ შეეძინათ გოგონა. წყვილი ერთმანეთს სპორტსმენის უამრავი ღალატის შემდეგ დაშორდა.

ექიმმა პაციენტს ყურიდან ცოცხალი ობობა ამოაცალა

ვიეტნამში ექიმმა პაციენტი ქალბატონის ყურიდან ცოცხალი ობობა ამოიყვანა. ენდოსკოპის დახმარებით გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო პორტალმა გამოაქვეყნა.

ქალმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ხაიზიონგის პროვინციის საავადმყოფოს ყურში ტკივილების შეგრძნების ჩივილით მიმართა. ექიმმა ტუოკმა პაციენტი ენდოსკოპით გასინჯა და ყურის გარეთა სმენის გასასვლელში პატარა ობობა აღმოაჩინა. ტოუკმა მწერის ყურიდან გამოტყუება სინათლის სხივის დახმარებით მოახერხა. პაციენტის ამჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არაფერია ცნობილი.

სერჟანტმა გამოუცდელი ჯარისკაცი საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა

ტაილანდში სამხედრო ბანაკში ხელყუმბარის აფეთქების შედეგად უფროსი სერჟანტი დაიღუპა.

32 წლის სომჩაი ტანაბატი სამხედრო სწავლებების დროს დაიღუპა. ჯარისკაცმა, სახელად კანოკპოლმა, ხელყუმბარას დამცავი რგოლი გამოაძრო, დაიბნა და მისი გადაგდება ვერ მოახერხა. აფეთქება ხუთ წამში მოხდა.

ტანაბადი ჯარისკაცს საკუთარი სხეულით გადაეფარა და ადგილზევე დაიღუპა. კანოკპოლმა კი მკლავი დაკარგა.

– ის მეგობრული და სასიამოვნო ადამიანი იყო, ის უყვარდათ მეგობრებსა და სოფლის მცხოვრებლებს. ის ხშირად ნახულობდა ნათესავებს და გარშემომყოფთ ყოველთვის ეხმარებოდა, – განაცხადა მისმა ბავშვობის მეგობარმა, 33 წლის ნარან დაენგსაკოლმა, – ის ოფიცრობაზე ოცნებობდა. ის დაიღუპა ნამდვილი გმირივით, ცდილობდა, გადაერჩინა თავისი შეგირდი სახიფათო ვარჯიშის დროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საქართველოს ნაკრებში არველაძემ ისევ გაიტანა, ვაისი მოგებებით რეკორდსმენია

საქართველო-გიბრალტარი 3:0

თბილისი. დინამო არენა

1:0 გვილია (30), 2:0 პაპუნაშვილი (59), 3:0 არველაძე (76პ)

საქართველო: ლორია, კაკაბაძე, კაშია, გრიგალავა, ხარაბაძე, კანკავა (მჭედლიძე 77), კვეკვესკირი, კვარაცხელია (პაპუნაშვილი 47), გვილია, მერებაშვილი (კიტეიშვილი 72), არველაძე

გიბრალტარი: გოლდვინი, ჯ.ჩიპოლინა, სერგინტი, ანესლი (ბარნეტი 86), კასკიარო (პონსი 65), ბარდონი (კუმბესი 77), უოლკერი, ოლივერო, რ.ჩიპოლინა, ანტ.ერნანდესი, დე ბარი

საქართველოს ნაკრებმა ევროშესარჩევი ტურნირის მესამე ტურში საკუთარ მოედანზე გიბრალტარი 3:0 დაამარცხა და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზე გადაინაცვლა. ჩვენები ამ დროისთვის დანიის ნაკრებსაც უსწრებენ, მაგრამ, ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს დროებითია და სკანდინავიელები კვლავაც ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტად რჩებიან.

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, რბილად რომ ვთქვათ, უსახური სტარტისა და ორი წაგების შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა გუნდმა გიბრალტარი დაჯაბნა და შესარჩევ ჯგუფში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

დავუბრუნდეთ მატჩს: საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ ვაისმა ძირითად შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები განახორციელა. თუმცა, ცოტა სხვაგვარად ველოდით. საინტერესო სანახავი იქნებოდა ლაშა პარუნაშვილისა და გიორგი ხარაიშვილის ნახვა. ერთია, ლევან ხარაბაძეს, ხვიჩა კვარაცხელიასა და ვატო არველაძეს ურიგოთ არ უთამაშიათ, მაგრამ საზომად არც მეტოქე გამოდგება.

სლოვაკმა სპეციალისტმა 4-2-3-1 ტაქტიკური სქემა აირჩია. დაცვის ხაზში, ოთარ კაკაბაძესთან (მარჯვნივ) და გურამ კაშიასთან ერთად, გია გრიგალავა და ხარაბაძე (მარცხნივ) თამაშობდნენ. ნახევარდაცვის ცენტრი ვაისმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯაბა კანკავას, ნიკა კვეკვესკირსა და ვაკო გვილიას ჩააბარა. ფლანგებზე გიორგი მერებაშვილი და დებიუტანტი კვარაცხელია ვიხილეთ, თავდასხმაში – არველაძე.

გიბრალტარი სუსტ გუნდებს განეკუთვნება და, როგორც მოსალოდნელი იყო, უპირატესობას თავიდანვე მასპინძლები დაეუფლნენ, სტუმრები კი მთელი გუნდით ღრმა დაცვაში ჩადგნენ. უნდა ითქვას, თავს ორგანიზებულად და უნარიანად იცავდნენ. ტემპი დაბალი იყო, ჩვენები ბურთს კი აკონტროლებდნენ, მაგრამ უხიფათოდ უტევდნენ. შორიდან დარტყმებით ცადეს გოლის გატანა არველაძემ და ხარაბაძემ, მაგრამ უშედეგოდ.

ვაისმა მერებაშვილსა და კვარაცხელიას ფლანგები გაუცვალა და 30-ე წუთზე შედეგიც გამოიღო: კვარაცხელიასა და კაკაბაძის კომბინაციას გვილიას გოლი მოჰყვა.

ტაიმის ბოლოს გოლის გაშვებას გადავურჩით: ბარმა კაშია გააბითურა და კანკავას იძულებული იყო წესი დაერღვია. უოლკერის მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ლორიამ ცხრიანიდან მოხსნა...

შესვენების შემდეგ 2 წუთში კვარაცხელიამ ტრავმა მიიღო, გიორგი პაპუნაშვილმა შეცვალა, რომელმაც 59-ე წუთზე გვილიას პასით მეორე გოლი გაუტანა გიბრალტარს. ამის შემდეგ ჩვენებმა ტემპს მოუმატეს და გვილიამ ორი 100%-იანი მომენტი ვერ გამოიყენა.

76-ე წუთზე არველაძის დარტყმული ბურთი ჩიპოლინას საჯარიმოში ხელზე მოხვდა და პენალტი თავად დაზარალებულმა უზადოდ შეასრულა – 3:0.

12-წლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ნაკრებში არველაძემ კვლავ გაიტანა. ბოლოს გოლი შოთამ შოტლანდიას შეუგდო 2007 წელს. აღსანიშნავია ისიც, რომ არველაძემ ეროვნულ გუნდში გოლები შოთას (26) და აჩის (6) ჰქონდათ გატანილი, ამჯერად კი რეზის შვილმა გაიტანა.

ვლადიმირ ვაისისთვის საქართველოს ნაკრების თავკაცის პოსტზე 34-ე მატჩი იყო. სლოვაკი სპეციალისტის ხელმძღვანელობით გუნდმა მე-14 შეხვედრა მოიგო (9 ფრე, 11 მარცხი). ვაისმა გადაასწრო ალექსანდრე ჩივაძესა და თემურ ქეცბაიას და საქართველოს ნაკრებში მწვრთნელებს შორის ყველაზე მეტი მოგება დაუგროვდა.

ვლადიმირ ვაისი:

– საკვალიფიკაციო ეტაპზე მოპოვებული 3 ქულა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, იმის მიუხედავად, რომ ჩვენი მეტოქე რეიტინგში დაბალ პოზიციაზე იმყოფება. ვფიქრობ, რომ 2-3 გოლი გატანა კიდევ შეგვეძლო, მაგალითად გვილიას კარგი შანსები ჰქონდა. საბოლოოდ შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უკეთესად თამაში გვმართებს, ზონებში უკეთ უნდა ვიხსნებოდეთ. ანგარიშის მიუხედავად, კიდევ უფრო მეტი გოლის გატანის სურვილი უნდა გვქონდეს. საკუთარ მოედანზე მოპოვებული 3 ქულის შემდეგ, უკვე მომდევნო თამაშისთვის ვემზადებით... ჯაბა კანკავა შევცვალე იმიტომ, რომ მას ყვითელი ბარათი ჰქონდა. ის ყოველთვის ბოლომდე იხარჯება და მოვერიდე, რომ მეორე გაფრთხილება არ მიეღო. ისე კი, ვფიქრობ, რომ ჯაბა მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. პენალტი მას უნდა შეესრულებინა, მაგრამ ვატო არველაძეს დაუთმო. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ჯაბა დიდი ჯენტლმენი და ნამდვილი კაპიტანია. მან ახალწვეულისადმი ამ ნაბიჯით დიდი მხარდაჭერა გამოხატა. ახალგაზრდები, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში პირველად იყვნენ, მათი თამაშით კმაყოფილი ვარ... რაც შეეხება მომდევნო შეხვედრას, დანიის წინააღმდეგ გარკვეული ცვლილებები ნამდვილად იქნება. სავარაუდოდ 2-3 ფეხბურთელი შეიცვლება. ამას საბოლოოდ ხვალინდელი ვარჯიშის შემდეგ გადავწყვეტ, როცა გვეცოდინება თუ როგორ მდგომარეობაში იქნებიან ფეხბურთელები ფიზიკურად. სამწუხაროა რომ ტრავმების გამო კვირკველია და ხოჭოლავა ვერ დაგვეხმარება.

ჟულიო სეზარ რიბასი:

– საქართველოს ნაკრებმა ეს გამარჯვება დაიმსახურა, გვქონდა კარგი მომენტი, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ისეთი შეცდომები დავუშვით, რამაც ეს ანგარიში გამოიწვია. ყოველთვის როდესაც სტუმრად ვთამაშობთ, გვაქვს ილუზია, რომ წარმატებას მივაღწევთ და ეს სომხეთთან გამოვიდა. არ მაქვს საკმარისი კვალიფიკაცია, რომ საქართველოს მწვრთნელზე ვისაუბრო, თუმცა ფეხბურთელებმა მართლაც კარგად ითამაშეს. ჩვენ არ გვქონდა სტადიონი, ვთამაშობდით პორტუგალიაში. როდესაც სახლში ვთამაშობთ, ჩვენი თანამემამულეების წინაშე, თავს უფრო მოტივირებულად ვგრძნობთ.

ჩვენივე ჯგუფში დანიის ნაკრები შინ დაუხვდა ირლანდიას, უგებდა კიდეც ჰოიგერგის გოლით, მაგრამ მატჩის ბოლოსკენ დაფმა გაათანაბრა და ირლანდია შინ ქულით დაბრუნდა.

სატურნირო ცხრილი:

1.ირლანდია	3	2	1	0	3:1	7
2.შვეიცარია	2	1	1	0	5:3	4
3.საქართველო	3	1	0	2	3:3	3
4.დანია	2	0	2	0	4:4	2
5.გიბრალტარი	2	0	0	2	0:4	0

20 წლამდე ნაკრებმა სამხრეთ აფრიკასთან წააგო

საქართველო-ს.აფრიკა 20:48

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის მე-2 მატჩში სამხრეთ აფრიკას 3 ლელო გაუტანეს და ჯამში 20 ქულა აიღეს, მაგრამ ტურნირის კიდევ ერთ ფავორიტთან ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და სამხრეთ აფრიკის 20-წლამდელთა ნაკრებმა 48:20 იმარჯვა.

დაახლოებით ორი თვის წინ, ეს გუნდები ერთმანეთს მოსამზადებელ ეტაპზე შეხვდნენ და მაშინ სამხრეთ აფრიკამ 58:10 იმარჯვა. ახლა სხვაობა მთელი 20 ქულით შემცირდა და ახალ ზელანდიასთან შეხვედრის მსგავსად, ჩვენი გუნდი თამაშში თითქმის 1 საათი დარჩა. ეს კი დარჩენილ 3 შეხვედრაში, სადაც შედარებით სუსტ გუნდებთან მოგვიწევს თამაში, ხარისხის და შედეგის გაუმჯობესების იმედს იძლევა. შეგახსენებთ, უმცროსი ბორჯღალოსნების მიზანი 12 უძლიერესს შორის ადგილის შენარჩუნებაა, ამისათვის კი მეოთხე, ან მეხუთე თამაშის მოგება გვმართებს.

ჩვენმა გუნდმა მატჩი აქტიურად დაიწყო და ანგარიშის გახსნის შანსი თედო აბჟანდაძეს ჰქონდა, მაგრამ კიდიდან დარტყმული ჯარიმა კარში არ გავიდა. სამხრეთ აფრიკამ მე-9 წუთზე შეძლო შეხვედრის პირველი ლელოს გატანა, გარდასახვაც ზუსტი იყო და მეტოქე 7:0 დაწინაურდა.

ამის შემდეგ საქართველო სრულად დაეუფლა სათამაშო უპირატესობას, მეტოქე წნეხის ქვეშ მოაქცია და შეცდომების დაშვება აიძულა, ბურთზე კონტროლი დაამყარა და სამხრეთ აფრიკის 22-ში დიდი დრო გაატარა. ამან შედეგი 26-ე წუთზე გამოიღო. ჯარიმის ნაცვლად აღებული შერკინებიდან ბურთი ხაზზე გაიშალა, ოთარ ლაშხმა გრძელი გადაცემა შეირგო, მბოჭავს დაუსხლტა და საპასუხო ლელო გაიტანა. აბჟანდაძეს გარდასახვით შეეძლო წონასწორობის აღდგენა, მაგრამ მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა – 5:7.

ორიოდე წუთში იოანე იაშაღაშვილზე სახიფათო ბოჭვის გამო სამხრეთ აფრიკელი მორაგბე სინბინით დაისაჯა, მაგრამ ტაიმის დასკვნით წუთებში შეცდომები მოგვიმრავლდა, რითაც მეტოქემ კარგად ისარგებლა, 2 ლელო გაიტანა და შესვენების წინ 21:5 დაწინაურდა.

მეორე ტაიმის დებიუტში ჩვენმა შერკინებამ მეტოქისა კარის წინ 22 მეტრში დააჯარიმა და აბჟანდაძემ იოლი 3 ქულა აიღო. საპასუხოდ აფრიკელებმა ბურთი გაგვიშალეს და ლელო გაგვიტანეს, მალე კი მათ სინბინის გამო 10 წუთით მეორე მორაგბე დაკარგეს.

ორიოდე წუთში მორკინალებმა კარის წინ რამდენიმე დარტყმა განახორციელეს, მერე ბურთი ხაზზე გავიდა, თემურ ჭიჭინაძე ინტერვალში კარგად შევიდა და ბურთი დაჩი პაპუნაშვილს გადააწოდა, რომელმაც იერიში ლაშხს გააგრძელებინა და მანაც ალამთან მეორე ლელო მიითვალა – 26:13.

სამხრეთ აფრიკამ ტემპი კიდევ ერთხელ გაზარდა და 5 წუთში 2 ლელო გაიტანა, ხოლო 76-ე და 78-ე წუთებზე კიდევ 2 მიითვალა.

ბოლო სიტყვა უმცროსმა ბორჯღალოსნებმა თქვეს. ზაურ თევდორაშვილმა რაქიდან მოიპარა ბურთი და თავად შეუტია, მბოჭავი კონტაქტით ჩამოიშორა და დაახლოებით 30 მეტრი ირბინა, რაქიდან გამოტანილი ბურთი ჭიჭინაძემ მიიღო, ხაზი გაჭრა და ძელებსშუა შეფრინდა, ხოლო აბჟანდაძემ გარდასახვით საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 20:48.

ხელბურთელთა ნაკრებმა მოგებით დაიწყო

საქართველო-ნიგერია 27:14

საქართველო: თევზაძე, ცინცაძე; ცხოვრებაძე (6), ორჯონიკიძე (5), კბილაშვილი (4), ჭანტურია (3), ჩიქოვანი (3), რუსტამოვი (2), გოგოლაძე (1), მიქავა (1), იმნაძე (1), კალანდაძე (1), არსენაშვილი (1), დიხამინჯია

ნიგერია: ადამოლუგბე, სოლომონი; კოლე (4), ა.მოჰამედი (3), ანი (2), კალუ (2), სულაიმანი (2), იბიტოიე (1), ოვოლაბი, დ.მოჰამედი, გბავუანი, როტიბი, ოკუბუიკე, ემანუელი

ნიგერია არ განეკუთვნება თუნდაც აფრიკის გრანდებს, მაგრამ ხელწამოსაკრავი და 13 ბურთით იოლად დასამარცხებელი მეტოქე ნამდვილად არ იყო. გამარჯვებას საფუძველი დაუდო მეკარე შოთა თევზაძემ, რომელმაც პირველ ტაიმში 8 დარტყმა მოიგერია. კარგი იყო მისი ნიგერიელი კოლეგაც, მაგრამ საბოლოოდ ჩვენებმა მეტოქეს ინდივიდუალური ორთაბრძოლების უმეტესობა მოუგეს, რისი დასტურიცაა სულ 14 გაშვებული გოლი და აფრიკელთა 9 ორწუთიანი გაძევება. გემოზე ითამაშა ჩვენმა უკანა ხაზმა – ჩიქოვანმა, ორჯონიკიძემ, ცხოვრებაძემ, ხოლო შეცლაზე შემოსულმა კბილაშვილმა სრულიად დამსახურებულად მიიღო მატჩის საუკეთესო მოთამაშის ჯილდო – 5 დარტყმიდან 4 გაიტანა, მოიპოვა 1 შვიდმეტრიანი და 4 მეტოქე გაისტუმრა ორწუთიანში.

იყო საკმაო წუნიც, რაც შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს უფრო ძლიერ მეტოქესთან, თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ მათთან გუნდს მეტი კონცენტრაციაც ექნება და ახალ მწვრთნელს, ნიკოლა მაქსიმოვიჩს, სულ რამდენიმე ვარჯიში ჰქონდა თამაშის დასალაგებლად.

მოგებაში წვლილი ყველამ შეიტანა: მშვენივრად შემოვიდა მეკარე ცინცაძე, რომლის ორმაგი სეივი ისეთი იყო, ნებისმიერი ტოპ-5 ვიდეომიმოხილვაში პირველ ადგილს რომ იკავებს ხოლმე. გოლები გაიტანეს ახალგაზრდებმაც – იმნაძემ, გოგოლაძემ და მიქავამ, სულ ბოლო კი შემოვიდა 17 წლის ნიკოლოზ კალანდაძე, რომელმაც 2 წუთში შვიდმეტრიანის ზუსტად დარტყმა და საგოლე პასის გაკეთებაც მოასწრო.

სხვა თამაშებმა აჩვენა რომ ჯგუფში პირველობისთვის ჩვენი მთავარი კონკურენტი ალბათ ბულგარეთი იქნება, მეორე მხარეზე კი კარგი გუნდი ჰყავს კუბას, არა უშავთ ჩინეთსა და კოლუმბიას. ჯგუფური ეტაპის შემდეგ 2-2 საუკეთესო გუნდი გავა ნახევარფინალში, რომელიც 15 ივნისსაა, ხოლო ჩემპიონი 16 ივნისს გამოვლინდება.

ჩემპიონატის მონაწილე 12 გუნდიდან 6 ევროპულია. მათ შორის საუკეთესო შედეგის მქონე გავა ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში. ტურნირზე გამარჯვებასთან ერთად, ეს ჩვენი გუნდის მეორე, არანაკლები მნიშვნელობის ამოცანაა.

სხვა მატჩები ასე დასრულდა:

ა ჯგუფი: კოლუმბია-ჩინეთი 25:28, ინდოეთი-აზერბაიჯანი 29:45, კუბა-ბრიტანეთი 35:27;

ბ ჯგუფი: მალტა-ბულგარეთი 13:38, აშშ-ირლანდია 37:32.

ბაიერნმა ხამესი არ დაიტოვა

კოლუმბიელი ნახევარმცველი ხამეს როდრიგესი, რომელიც მიუნხენის ბაიერნში იჯარის წესით თამაშობდა, „რეკორდმაისტერს“ ემშვიდობება. როგორც ცნობილი გახდა, ბავარიელებმა უარი განაცხადეს ფეხბურთელის გამოსყიდვაზე. შესაბამისად, 27 წლის ფეხბურთელი მადრიდის რეალს დაუბრუნდება.

ესპანეთში გამგზავრების წინ როდრიგესმა სოციალური ქსელის მეშვეობით ბავარიელ ქომაგს მიმართა.

ხამეს როდრიგესი:

– დიდი მადლობა ბაიერნს, სამწვრთნელო შტაბს, გულშემატკივარსა და მეგობარ თანაგუნდელებს. ეს იყო 2 დაუვიწყარი წელიწადი. მიუნხენში თავს ვგრძნობდი ისე, როგორც საკუთარ სახლში. ჩემთან დარჩება საუკეთესო მოგონებები, ცოდნა და უნიკალური გამოცდილება. ყველაფრისთვის უღრმესი მადლობა. ბაიერნს მომავალ წარმატებებს ვუსურვებ.

ბაიერნი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოფციის გამოყენებას რომ არ გეგმავდა, თავად კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა. გერმანულ მედიასთან ინტერვიუში, ბავარიელთა ხელმძღვანელის თქმით, ხამესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია. როდრიგესმა ბეკენბაუერს პირად საუბარში განაცხადა, რომ კოლუმბიელის სურვილი იქნებოდა, კლუბს არ გამოეყენებინა გამოსყიდვის ოფცია, თუ მას მუდმივად არ ექნებოდა ადგილი ძირითად თერთმეტეულში. ამის თაობაზე კი ბაიერნს გარანტიის მიცემა არ შეგვეძლო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალი, რომელიც არ სვამდა, ღვინის დალევის შემდეგ გარდაიცვალა

ინგლისის ისტ-რაიდინგ-ოფ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ ბევერლის მკვიდრი ქალბატონი ალკოჰოლით მოწამვლისგან დაიღუპა. 2018 წლის 29 ივნისს 46 წლის მასწავლებელი ჯილ ჰოუ კოლეგასთან ერთად ბაღში მის ნაკვეთში ისვენებდა. მისი ახლობელის თქმით, მას შემდეგ, რაც მათ ბოთლ-ახევარი ღვინო დალიეს, ჰოუმ თავი შეუძლოდ იგრძნო და დასაძინებლად დაწვა. მეორე დილით მეგობარმა მისი გაღვიძება ვერ შეძლო.

შეშფოთებული ქალი დახმარებისთვის თავის მეუღლესთან გაიქცა, რომელმაც სასწრაფო გამოიძახა. ექიმებმა ქალს გულისა და ფილტვების რეანიმაცია ჩაუტარეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჰოუ გზაში დაიღუპა. მისი მეუღლე იმ დროს სამსახურშ იმყოფებოდა და მისი გარდაცვალების შესახებ მხოლოდ მეორე დღეს დილით შეიტყო.

სასამართლოში მამაკაცმა განაცხადა, რომ ბოლოს მეუღლე 29 ივნისს,ადგილობრივი დროით 16:30 საათზე ნახა, როდესაც სამსახურშ წასასვლელად ემზადებოდა.

ქალის მეგობრებმა და ნაცნობებმა აღნიშნეს, რომ ის ალკოჰოლურ სასმელებს, პრაქტიკულად, არ მოიხმარდა. მათი თქმით, ის საოცარი მასწავლებელი და ოთხი შვილის მზრუნველი დედა იყო.

აშშ-ში ლატარიის ბილეთმა ნახევარი მილიარდი დოლარი მოიგო

ამერიკის კალიფორნიის შტატში შეძენილ იქნა ლატარიის ბილეთი, რომელმაც 530 მილიონი დოლარი მოიგო.

ჯეკპოტის გათამაშება ლატარია მეგამილიონის ფარგლებში მოხდა. მომგებიანი კომბინაციის რიცხვებია 17, 19, 27, 40, 68 და „მეგა ბურთულა“ 2.

აღნიშნული მოგება სიდიდით რიგით მეშვიდე გახდა მეგამილიონის ისტორიაში. თუ გამარჯვებული გადაწყვეტს მოგების ერთიანად მიღებას, მაშინ თანხა 345,2 მილიონ დოლარამდე შემცირდება.

გოგონა შეყვარებულს ჩაეხუტა და კიბოსგან გადაარჩინა

დიდ ბრიტანეთში გოგონამ თავისი შეყვარებული გადაარჩინა, როდესაც ჩახუტების დროს მის ზურგზე შემთხვევით სახიფათო სიმსივნე აღმოაჩინა.

ემა მეიორმა, ლანკაშირის საგრაფოდან, ჯეიმს კეტლოუ გაცნობის სერვისის დახმარებით გაიცნო. ერთ საღამოს 20 წლის გოგონა ყმაწვილს მოეხვია და ამ დროს მის ზურგზე საეჭვო გამაგრება იგრძნო. მან შეყვარებულს ამის შესახებ უთხრა.

კეტლოუს ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, ვინაიდან საკუთარ თავს დაავადების სიმპტომებს ვერ ამჩნევდა.

– თავდაპირველად ამის გამო ძალიან არ მინერვიულია. ვფიქრობდი, რომ თუ ის ადრე არ შემინიშნავს, ე.ი. სერიოზული არაფერი იყო, – განაცხადა მამაკაცმა.

მეიორი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მის 21 წლის შეყვარებულს საავადმყოფოში გამოკვლევა გაევლო. ექიმებმა ყმაწვილი გასინჯეს და მას იუინგის სარკომა აღმოუჩინეს – ძვლების ავთვისებიანი სიმსივნე. ყმაწვილი წლისა და ერთი თვის განმავლობაში მკურნალობის კურსს გადიოდა, მათ შორის პროტონო თერაპიას აშშ-ში, სანამ მთლიანად განიკურნებოდა.

– როდესაც მას კიბო აღმოუჩინეს, სულ ხუთი თვის გაცნობილი ვიყავით, – განაცხადა მეიორმა, – ჯეიმსი გამუდმებით მეუბნება, რომ მე ის გადავარჩინე, მაგრამ, თუ ასეა, მაშინ მე არა მხოლოდ მისი სიცოცხლე, არამედ ჩვენი საერთო მომავალიც გადავარჩინე.

სანაპიროზე უცნობი არსება გამოირიყა

კანადელმა სანაპიროზე უცნობი არსება აღმოაჩინა ნიანგის თავითა და „კბილებიანი“ კუდით.

ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ქალაქ სიდნეის მკვიდრი, 43 წლის ნილ ეირი, ოკეანის სანაპიროზე სეირნობდა. ის იქ უცნაური არსების გვამს გადააწყდა.

– მე, როგორც გამოცდილმა მეთევზემ, კარგად ვიცი, თუ როგორი არსებები ბინადრობენ ოკეანეში, მაგრამ ამ არსებამ გამაოგნა, – განაცხადა ნილმა.

კანადელი თავიდან ფიქრობდა, რომ მის წინ დელფინი ან პატარა ვეშაპი იყო, მაგრამ მისმა ბასრკბილებიანმა კუდმა აიძულა, აზრი შეეცვალა.

– თავი ნიანგისას მიუგავდა, რომბისებური უზარმაზარი ყბებით, – აცხადებს კანადელი.

მეორე დღეს მან შემთხვევის ადგილზე თავისი საცოლე მიიყვანა. მან ფოტოსურათები გადაიღო და შემდეგ სოციალურ ქსელში განათავსა.

ადგილობრივების აზრით შესაძლოა, ის ლეგენდარული ზღვის ურჩხული კადბოროზავრია, რომელიც თითქოსდა ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროსთან ბინადრობს. თუმცა ადგილობრივი ოკეანორიუმის წარმომადგენლებმა წამოაყენეს საკუთარი ჰიპოთეზა, რომ ეირმა დიდი კალიფორნიული სკატი იპოვა. კანადელის თქმით კი მას მისმა ნაცნობმა ბიოლოგმა უთხრა, რომ სკატების ნაპირზე გამორიყვის ფაქტები ცნობილი არ არის.

ტურისტებმა სპლიყვი გააწამეს



ტაილანდის კუნძულ პხუკეტზე სპლიყვი ზღვაში შეიყვანეს, რათა ტურისტებს ფოტოსურათების გადაღება შეძლებოდათ. ამის ამსახველმა ვიდეომ ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის ყურადღება მიიპყრო.

ვიდეორგოლზე ჩანს, თუ როგორ აკავებს კისრით ზედამხედველი სპლიყვს, რომელიც, როგორც ჩანს, მარილიან წყალში თავს არაკომფორტულად გრძნობს. პატარა სპილოს ფოტოსურათებს თეთრი ფერის საცურაო კოსტიუმიანი ქალი უღებს. შემდეგ კი ის სურათს უღებს თავის თანამგზავრს, რომელიც მეორე ცხოველზეა ამხედრებული.

აღნიშნულმა ვიდეორგოლმა ცხოველთა დამცველების აღშფოთება გამოიწვია. მათი თქმით, ზედამხედველი სპლიყვს სასტიკად მოეპყრა. ამასთან, როგორც ეკო-აქტივისტები ამტკიცებენ, სპილოების პატრონებმა უძველესი მარჯნის რიფებიც დაანგრიეს, რათა ცხოველებსა და ტურისტებს ზღვაში შესვლა გაადვილებოდათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალს ხუთი წელი თითზე უზარმაზარი რქა ეზრდებოდა

ინდოეთის მკვიდრ ქალბატონს თითზე ამოზრდილი რქა მოაცალეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

60 წლის ქალი საავადმყოფოში თითზე უცნაური გამონაზარდით აღმოჩნდა, რომელიც მას დისკომფორტს უქმნიდა. ექიმებმა კანი რქა დაუდგინეს, რომლის სიგრძე ექვს სანტიმეტრს აღწევდა. ეს პირველი დარეგისტრირებული შემთხვევაა, როდესაც ასეთი წარმონაქმნი ადამიანის ცერა თითზე გვხვდება. ქალმა განაცხადა, რომ პირველად ის მის ხელზე ხუთი წლის წინ გაჩნდა. მან ერთხელ ის მოიცილა, მაგრამ ისევ წამოეზარდა და ზომებშიც გაიზარდა.

ქირურგებმა დაადასტურეს, რომ ეს კეთილთვისებიანი წარმონაქმნია და ის ქალს მოაშორეს. ექიმების თქმით, ქალი ოპერაციის შემდეგ თავს კარგად გრძნობს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ლეოპარდმა ეროვნულ პარკში ბავშვი დაგლიჯა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ორი წლის ბავშვი დაიღუპა.

პარკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი ერთ-ერთი თანამშრომლის შვილი ლეოპარდმა დაგლიჯა. ეს 5 ივნისს, საღამოს მოხდა იმ ტერიტორიაზე, სადაც პერსონალის საცხოვრებლებია განთავსებული.

მტაცებლის თავდასხმის შემდეგ მშობლებმა ბავშვი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა ორწლინახევრის ბავშვის მხოლოდ დაღუპვის დადასტურება შეძლეს.

მკვლელი ლეოპარდი იპოვეს და მოკლეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სიტყვიერი



1. უბანი თბილისში; 2. მწერალ არსენ მამულაიშვილის ფსევდონიმი; 3. ლიტვის ფულის ერთეული; 4. ბოლო ნოტი; 5. შაქარზე ტკბილი კრისტალები; 6. რუმინეთის ფულის ერთეული; 7. „რასაც დასთეს, იმას ...“; 8. ერთ-ერთი სახარების ავტორი; 9. ალაზნის შენაკადი; 10. გამომწვარი ფერადი თიხა; 11. მწერალი ... ლისაშვილი; 12. ... მატიე; 13. რესტორნის საჭმელ-სასმელის ნუსხა; 14. ინტუიცია; 15. ტაბლეტი; 16. სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული; 17. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 18. ამერიკელი ფილოსოფოსი (1859-1952); 19. ვერცხლისწყლის ქლორიდი; 20. სპორტული ცურვის ხერხი; 21. სითხის გამოსახდელი ხელსაწყო; 22. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 23. ფილიპინების კუნძული; 24. ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის; 25. ქალაქი გერმანიაში; 26. რისამე შესრულების სისწრაფე; 27. ჯაშუში (ძვ.); 28. ეგვიპტელთა მზის ღმერთი; 29. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 30. ბილიარდის ჯოხი; 31. საბერძნეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 32. მოჭადრაკე ... ლარსენი; 33. თხის ჯოგი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. აბზინდა; 2. ვერიკო; 3. ესმერალდა; 4. ჩითილი; 5. სარკაზმი; 7. ბატე; 11. დრენაჟი; 13. ბატკანი; 16. ლაკმე; 18. ქეიფი; 19. ვოლგა.

თარაზულად: 6. ბომბეი; 8. მენისკი; 9. თითბერი; 10. ნერეიდა; 12. ტონგა; 14. შირაზი; 17. დეტექტივი; 20. ზვარაკი; 21. ცვაიგი; 22. ფლეგმა; 23. ზედაზენი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხულა; 2. ეპოსი; 3. ლხასა; 5. ბალეტი; 6. ნადირაძე; 9. პრეფერანსი; 10. წალენჯიხა; 11. მარასკინი; 14. კიი; 16. უოლესი; 18. ბიტი.

თარაზულად: 1. ხარება; 4. კაბოშონი; 7. მონიკა; 8. სტაპელი; 12. პეტრა; 13. ოკენცე; 15. ცეზურა; 17. პაი; 19. ღვინობისთვე; 20. გინეა; 21. ჩინური.

სპორტი

რეალი ბეილს პოგბაში ცვლის

მადრიდის რეალი პოლ პოგბას თავის რიგებში ეპატიჟება და მანჩესტერ იუნაიტედს სანაცვლოდ ტრანსფერში გარეთ ბეილის ჩართვას სთავაზობს.

ედენ აზარის სახით ესპანელებმა პრემიერ ლიგის ერთ-ერთი ვარსკვლავი ჩელსიდან უკვე გადაიბირეს, რაშიც 88 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადეს. ზინედინ ზიდანს კი თავის მომდევნო ხმაურიან შენაძენად პოგბა სურს. ამ სვლით ბეილი, რომელიც ზიდანმა დაიწუნა, მიმზიდველი შეთავაზება იქნება ოლე გუნარ სოლსკიაერისთვის.

თუ „ეშმაკები“ პოგბასთან განშორებას მოისურვებენ, მისი სატრანსფერო ღირებულება 130 მილიონი გირვანქა იქნება. მაგრამ ბეილი შეთანხმების ერთ-ერთი ნაწილი გახდება და მისი სახით რეალი კვირაში 600.000-იანი ხელფასის მქონე ფეხბურთელს მოიშორებს თავიდან.

შეგახსენებთ, რომ ზიდანმა, აზარის გარდა, 58 მილიონ გირვანქად ასევე შეიძინა თავდამსხმელი ლუკა იოვიჩი და აკვირდება კრისტიან ერიქსენის მდგომარეობას ტოტენჰემიდან, სადაც სკანდინავიელს მოქმედი კონტრაქტით ერთი წელი დარჩა.

სეზონის ბოლო მატჩში ბეილი რეალის სათადარიგოთა სკამზე დარჩა და თამაშში მონაწილეობის საშუალება არ მიეცა, ხოლო წინა 3 მატჩში განაცხადშიც ვერ მოხვდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი 10 ივნისისთვის

ვერძი – კარგი დღეა საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისათვის. წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ გარშემომყოფების აზრს გაითვალისწინებთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. ** კურო** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. მოსალოდნელია კამათი გარშემომყოფებთან. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **ტყუპები** – თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, ნუ გადაიღლებით. **კირჩხიბი** – ფინანსებს გაუფრთხილდით, ფულს იოლად ნუ დახარჯავთ, საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს, უმჯობესია, სახლში დარჩეთ. **ლომი** – წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ გარშემომყოფების აზრს გაითვალისწინებთ. შესაძლოა, დღეს საკმაოდ ძლიერი მფარველი გამოგიჩნდეთ. **ქალწული** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, ჯანმრთელობაც ხელს გიწყობთ. მშვენიერი დღე გაქვთ წინ. **სასწორი** – შესანიშნავი პერიოდია სამოგზაუროდ წასასვლელად, ახალი იდეების განსახორციელებლად. ასევე წარმატებით დაგვირგვინდება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები. **ღრმანაკალი** – მძიმე დღეა, მიზნის მისაღწევად მუხლჩაუხრელი შრომა გჭირდებათ. ნუ მოდუნდებით, წვრილმანებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. **მშვილდოსანი** – საკმაოდ ენერგიულად ხართ, შრომა არ გეზარებათ, რაც თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე შესაბამისად აისახება. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **თხის რქა** – გეგმების განხორციელება, ალბათ, გაგიჭირდებათ, პარტნიორებთანაც კონფლიქტია მოსალოდნელი. შექმნილი ვითარებიდან თავის დასაღწევად საკმაოდ დიდი ძალისხმევა და წინდახედულობა დაგჭირდებათ. **მერწყული** – მიხედეთ პირად ცხოვრებას, შეხვდით საყვარელ ადამიანს, მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. **თევზები** – მთელი ძალების კონცენტრაცია მოახდინეთ, რათა დასახულ მიზანს მიაღწიოთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ბესო ბარათაშვილი ბაბუა გახდა

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ბესო ბარათაშვილი ბაბუა გახდა.

მის შვილს ანა ბარათაშვილსა და მის მეუღლეს ირაკლი ილურიძეს ბიჭი ეყოლათ.

დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. მშობლებმა პატარას დემნა დაარქვეს.

ბესო ბარათაშვილმა უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

ნატალი ვეფხვაძე პარასპორტსმენია

მომღერალი ნატალი ვეფხვაძე პარა სპორტსმენი გახდა. 9 აპრილის უსინათლო გმირის, ლელა ვეფხვაძის შვილმა გადაწყვიტა, საკუთარი შესაძლებლობები, სიმღერასთან ერთად, ძიუდოშიც მოსინჯოს.

ინფორმაცია ამის შესახებ ნატალი ვეფხვაძემ ინტერნეტში თავად გაავრცელა და უამრავი დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

„ნიჭიერის“ გამორჩეულმა მონაწილემ ვარჯიში უკვე დაიწყო და სულ მალე მის სპორტულ კარიერაში არსებული სიახლეების შესახებაც გავიგებთ.

ანიტა რაჭველიშვილი რუსული ესტრადის წინააღმდეგ

ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი რუსული ესტრადის წინააღმდეგ გამოდის და საქართველოში უხარისხო მუსიკის მოსმენით შეწუხებულია:

– სტუმართმოყვარეობა ნამდვილად საამაყო რამეა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ვერ ვხედავ ვერანაირ საჭიროებას, ყოველ ნაბიჯზე რუსულ ესტრადასა და თურქულ სიმღერებს ვაჟღერებდეთ. სირცხვილია, ბათუმი!

ჩვენს „მეზობლებს“ თუ გინდათ, ასე ძალიან ასიამოვნოთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მათ ქართული ღამაზი მუსიკა კიდევ უფრო მეტად ასიამოვნებდათ, ვიდრე ეს უხარისხო მუსიკა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ისმენ ბათუმში და არა მარტო, სამწუხაროდ!

მუსიკოსმა ლუკა გოდიშვილმა, რომელიც ჯართს აგროვებდა, ოქროს მედალი დაიმსახურა

მუსიკოსი ლუკა გოდიშვილი წლების წინ ჯართს აგროვებდა, აღებული თანხით მუსიკის მასწავლებელთან დადიოდა და სახლში პიანინოს არქონის გამო დახატულ კლავიატურაზე უკრავდა. მასზე მომზადებულმა სატელევიზიო სიუჟეტმა ფონდი“ იავნანა“ დააინტერესა და ასე შეიცვალა ნიჭიერი ბიჭის ცხოვრება.

ლუკას „იავნანას“ მეგობრებმა ბინაც უყიდეს, საოცნებო პიანინოც. მან ნიჭიერთა ათწლედში ოქროს მედალიც დაიმსახურა.

ინფორმაცია ამის შესახებ ფონდ „იავნანას“ წარმომადგენელმა თეონა ჯორბენაძემ გაავრცელა:

– ალბათ, ყველას გახსოვთ პატარა ბიჭი, რომელიც ჯართს აბარებდა და მიღებული თანხით მუსიკის მასწავლებელთან დადიოდა. მოკლედ, ჩვენი ლუკა „იავნანას“ მეგობრების თანადგომით ახალ სახლშიც გადავიდა, პიანინოც აქვს, სკოლაც დაამთავრა და ოქროს მედალი და ლაურეატის წოდებაც მოიპოვა.

გილოცავთ ყველას, ვინც მას და ჩვენს პროექტს გულშემატკივრობდით და განსაკუთრებული მადლობა ნიჭიერთა ათწლედსა და მის პედაგოგებს. სპეციალობაშიც 10-იანი მიიღო.

სამგლოვიარო განცხადებები

დათო (ბურთო) ხვედელიძის გახსენება

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მუდამ მოღიმარო, ხალისიანო, იუმორით სავსე და ყველასათვის საყვარელო. 2 წელი და 122 დღეა, რაც უფალმა ინება შენი ჩვენგან განშორება. ძალიან ცოტა იცხოვრე. იცხოვრე მეტად სხვისთვის, ვიდრე შენთვის, ჩვენო წარსულის ტკბილო მოგონებავ და მომავლის მოურჩენელო ტკივილო. შენს ნათელ სულთან მთელი წლის განმავლობაში ყვავის წითელი ვარდები. შენ ხომ ყოველთვის ულამაზესი ვარდებით გიყვარდა მილოცვა ყველა შენი ახლობელი ქალბატონისთვის. შენ ჩვენთან შედარებით ბედნიერი ხარ – შვილებმა გაგაყოლეს ცრემლები და არა ისე, როგორც შენმა გამწარებულმა მშობლებმა. ყოველთვის სიხარულით ველოდით 10 ივნისს – შენს დაბადების დღეს, 45 წლის უნდა გამხდარიყავი. ყოველთვის იამაყებდი შენი შვილებით, რომლებიც სპორტითა და სწავლით გამორჩეულები არიან. უფალი იყოს შენი სპეტაკი და ღამაზი სულის მფარველი.

შენი ნაადრევი წასვლით გამწარებული მშობლები
შაქრო და ნუნუ ხვედელიძეები, მეუღლე ლალი, შვილები
მარიამი, ანდრია, და ნანა, სიძე დათო, დის შვილები
გიორგი, ნიკოლოზ და მარიამ გელხაურები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

სარგის კაკაბაძის უნიკალური არქივი საჯაროა

ისტორიკოსისა და ფილოლოგის სარგის კაკაბაძის უნიკალური არქივი საჯაროა. მისი პირადი ნივთების გამოფენა ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში გაიხსნა.

ეროვნული არქივის ხელმძღვანელთან ერთად ექსპოზიცია სარგის კაკაბაძის შვილიშვილმა ცირა კალანდაძემაც გახსნა.

ისტორიკოსი და ფილოლოგი სარგის კაკაბაძე საქართველოს ეროვნული არქივის, იმ დროისათვის ცენტრალური არქივის ერთ-ერთი დამფუძნებელი და შემდგომში ხელმძღვანელი იყო. მისი დამსახურებით ეროვნული არქივის ფონდები უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებით შეივსო.

სარგის კაკაბაძის უნიკალურ პირად არქივს მისი შვილიშვილი ცირა კალანდაძე ინახავს. სწორედ მისი დახმარებით ისტორიკოსის არქივის დოკუმენტები ფართო საზოგადოებისთვის პირველად არის წარმოდგენილი ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში.

ფოტორეპროდუქციების გარდა, გამოფენილია სარგის კაკაბაძის საოჯახო არქივში დაცული ორიგინალები: კაკაბაძეების საოჯახო ფოტოები და დოკუმენტები, გამოუქვეყნებელი და სრულიად უცნობი სამეცნიერო ნაშრომები, სარგის კაკაბაძის კუთვნილი არქეოლოგიური ნივთები, სარგის, დავით და არტემ კაკაბაძეებთან დაკავშირებული საინტერესო საარქივო მასალა.

სარგის კაკაბაძეს უმდიდრესი მემკვიდრეობა დარჩა: მონოგრაფიული ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ფოტომასალა, ქართული განძის მოძრაობასთან დაკავშირებული ფასდაუდებელი დოკუმენტაცია, რომელიც ამ დრომდე გამოუქვეყნებელია, შესაბამისად, არ არის შესული სამეცნიერო მიმოქცევაში. ეროვნულ არქივში დაგეგმილი გამოფენა ამ მასალის ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად გადადგმული პირველი ნაბიჯია.

სარგის კაკაბაძისადმი მიძღვნილი გამოფენა არქივების საერთაშორისო დღეს გაიხსნა. ექსპოზიცია 7 ივლისამდე გაგრძელდება და მისი დათვალიერება ყველასთვის თავისუფალია.

მაინის ფრანკფურტში შოთა რუსთაველის კაბინეტი გაიხსნა

რუსთაველის ფონდის გენერალურმა დირექტორმა და ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ვიცერექტორმა მაინის ფრანკფურტში შოთა რუსთაველის კაბინეტი გახსნეს

გერმანიაში მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტში, რუსთაველის ფონდის გენერალურმა დირექტორმა პროფესორმა ზვიად გაბისონიამ, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ვიცერექტორმა, საერთაშორისო ურთიერთობებში პროფესორმა როლფ ვან დიკმა, ფრანკფურტში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ლევან დიასამიძემ და პროფესორმა მანანა თანდაშვილმა ენათმეცნიერებისა და კულტუროლოგიის ფაკულტეტზე გახსნეს შოთა რუსთაველის კაბინეტი.

იდეის ავტორი ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი, ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მმართველი, პროფესორი იოსტ გიპპერტმია. მან წარადგინა უნიკალური პროექტი „რუსთაველის გაციფრულება სხვადასხვა ენაზე“, რომლის მიზანია ქართული კულტურის, ლიტერატურის პოპულარიზაცია.

შოთა რუსთაველის კაბინეტის გახსნის საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს ფრანკფურტში მოღვაწე და სხვა უცხოელი ქართველოლოგები. ზვიად გაბისონიამ და როლფ ვან დიკმა რუსთაველის ფონდსა და ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

„ქართული ხმები“ და თბილისის ბიგ ბენდი საქართველოში საკონცერტო ტურნეს იწყებენ

ანსამბლი „ქართული ხმები“ და თბილისის ბიგ ბენდი საქართველოში საკონცერტო ტურნეს იწყებენ.

ანსამბლის 30 წლისა და თბილისის ბიგ ბენდის 20 წლის იუბილეს აღნიშვნა იმ ქალაქებში გაგრძელდება, სადაც ხელოვანებმა გასულ წელს ჩასვლა ვერ მოახერხეს.

„ჩეკ ინ ჯორჯიას“ ეგიდით 14 ივნისს დიდი საკონცერტო ტურნე მცხეთიდან დაიწყება. იუბილარი ხელოვანები კონცერტებს ჩაატარებენ ველისციხეში, ბოლნისში, ახალციხეში, თელავში, ზუგდიდში, გურჯაანში.

– ეს ქალაქები გამოგვრჩა შარშან და გვინდა, რომ ვესტუმროთ. რასაკვირველია, კიდევ დაგვრჩება ქალაქები, სადაც ვერ ჩავალთ, მაგრამ მათაც აუცილებლად ვესტუმრებით. მიგვაჩნია, რომ დიდ ქართულ საქმეს ვაკეთებთ. ჩვენთან ყველანაირად მაღალი ხარისხია, ამიტომ მოთხოვნაც დიდია, – განაცხადა თბილისის ბიგ ბენდის დამაარსებელმა გაიოზ კანდელაკმა.

თბილისის ბიგ ბენდი 4 ივლისს მონაწილეობას მიიღებს ამერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტში. მუსიკოსები და მომღერლები ასევე მიწვეული არიან გაბალაში აზერბაიჯანის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე, სადაც მთელი მსოფლიოს უმაღლესი დონის მუსიკოსები იკრიბებიან. თბილისის ბიგ ბენდი ამ ფესტივალში უკვე მესამედ მონაწილეობს.

მანამდე თბილისის ბიგ ბენდმა უფასო კონცერტები საპატრიარქოს უნივერსიტეტისა და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გამართა. სექტემბრიდან კი თბილისის ბიგ ბენდის წევრები კვლავ ესტუმრებიან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს და სტუდენტების მუსიკალური გემოვნების ამაღლებაზე სრულიად უანგაროდ იზრუნებენ.

მარია მამუჩაშვილმა „მის ტურიზმ ინტერნეშენალზე“ გაიმარჯვა

სამოდელო სააგენტო „კატრინის“ მოდელმა მარია მამუჩაშვილმა საერთაშორისო სამოდელო კონკურსზე „მის ტურიზმ ინტერნეშენალ 2019“-ზე გაიმარჯვა.

კონკურსში 30 ქვეყნის მოდელი მონაწილეობდა. პირველობა საქართველოს წარმომადგენელმა არავის დაუთმო და ჟიურის მიერ საუკეთესოდ დასახელდა.

ღამაზმანმა გასულ წელსაც ასახელა საქართველო, როდესაც პორტუგალიაში 50 ქვეყანას შორისაც გამარჯვება მოიპოვა „წლის საუკეთესო საერთაშორისო მოდელზე“.

ეკა მგალობლიშვილი, სამოდელო სააგენტო „კატრინის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი:

– მე ვარ ამაყი, რომ ჩემ მიერ წარდგენილი ქართველი პატარა თუ ჟუროსი თაობის მოდელები ხელდამშვენებულნი ბრუნდებიან საქართველოში. ღირსეულად გაგვაქვს ჩვენი ქვეყნის სახელი მსოფლიოს მასშტაბით.

გოგა გეგელია „ჩემი ცოლის დაქალებისგან“ პრემიას ელოდება

აგრარული უნივერსიტეტის თეატრის რეჟისორი გოგა გეგელია გახმაურებული ქართული სერიალის „ჩემი ცოლის დაქალებისაგან“ პრემიას ელოდება:

– პრემია ფულადი სახით, თუ არ ჩავთვლით ღირსების ორდენის 800 ლარს, არასოდეს მიმიღია, მაგრამ ჩ.ც.დ.-ან ნამდვილად ველოდები.

ვინ აღარ გადაიღეს ჩვენი თეატრის სხვადასხვა თაობის მსახიობებიდან მოყოლებული, ჩემი დაქალების ჩათვლით. ყველამ ითამაშა კარგად და საინტერესოდ. ასე რომ, თუ კიდევ გნებავთ ვარსკვლავები, ცოტა გაისარჯეთ. დათომ დაიწყო და ჯერჯერობით ნინომ დაუსვა წერტილი... ჯერჯერობით... გაგრძელება იქნება... არ მინდა პრემია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

მამაკაცმა 40 წლის ჩაკეტილი სეიფი შემთხვევით გახსნა

კანადის მუზეუმის Vermilion Heritage Museum-ის დამთვალიერებელმა პირველივე ცდაზე გახსნა სეიფი, რომელიც 40 წლის განმავლობაში იყო ჩაკეტილი.

ათწლეულების განმავლობაში მუზეუმის წარმომადგენლები ვერ ახერხებდნენ სეიფის გახსნას. ისინი იწვევდნენ მჭედლებს, თავად მის მწარმოებლებს, უკავშირდებოდნენ ყოფილ თანამშრომლებს და დამთვალიერებლებს სთავაზობდნენ ციფრების კომბინაცია ეცადათ, მაგრამ მათ ძალისხმევას შედეგი არ გამოუღია.

გასულ თვეში ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა სტივენ მილსმა ალბერტის პროვინციიდან ბედი ცადა და პირველივე მცდელობაზე სეიფს საჭირო კოდი მოარგო. მამაკაცი მუზეუმში მეუღლესთან, თავის ორ გოგონასა და სიდედრთან ერთად იმყოფებოდა და ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს ეცნობოდა.

– სინამდვილეში მუზეუმი იმ დღეს არ მუშაობდა, მაგრამ ჩვენ ერთ-ერთ მოხალისეს,ტომ კიბლვაიტს გადავაწყდით. მან შეგვიშვა მუზეუმში და პატარა ექსკურსიაც ჩაგვიტარა, – განაცხადა მილსმა.

ძირითადი ექსპოზიციების გარდა, კიბლვაიტმა ოჯახს მიწისქვეშა ნაგებობაც აჩვენა, სადაც ძველი რელიკვიები ინახებოდა, სწორედ იქ შესთავაზეს მილსს სეიფის გახსნა.

კანადელმა გაიხსენა, რომ თვალწინ წარმოუდგა რიცხვები 0-დან 60-მდე და თითქოსდა ჩაესმა კომბინაცია 20-40-60. მილსმა შინაგან ხმას ყური უგდო და კოდი შეიყვანა. ყველა იქ მყოფის გასაკვირად, სეიფის კარი გაიღო. მისი ბავშვები ამან აღაფრთოვანა და გაიძახოდნენ: „ჩვენ გამოვიცანით კოდი! ჩვენ გამოვიცანით კოდი!“

თავდაპირველად სეიფი სასტუმროს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი ჩაკეტვის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ის, როგორც უჩვეულო ნივთი, მუზეუმისთვის გადაეცათ.

– ეს იყო, როგორც ერთგვარი დროის კაფსულა. არავინ იცოდა, თუ რა ინახებოდა მასში, – განაცხადა იღბლიანმა კანადელმა. როგორც აღმოჩნდა, მასში ინახებოდა ქაღალდები, ძველი ქვითრები, უბის წიგნაკი და სასტუმროს ქვითარი. საბუთები 1977-78 წლებით იყო დათარიღებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.7344
- ევრო — 3.0803
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4782
- 100 რუსული რუბლი — 4.2031

ამინდის პროგნოზი 10 ივნისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

11 ივნისიდან

ვაჟა-ფშაველა

მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

4 ივნისიდან

მარკ ტვენი

ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

31 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

იუმორი

ბარმენი მამაკაცს ეკითხება:

– ჭიქა ცარიელი გაქვთ და კიდევ ერთს ხომ არ ინებებდით?

– ორი ცარიელი ჭიქა რა თავში სახლელად მინდა?!

•••

ქალბატონი მოსამსახურეს ეტყვის, რომ სამსახურიდან გათავისუფლებულია. მოსამსახურე გოგონა კი პასუხობს:

– თქვენს მეუღლეს კი მოსწონს ჩემი მზარეულობა. ეს მან პირადად მითხრა.

– გაეთრიე აქედან, აქ მე ვარ უფროსი!

– სხვათა შორის საწოლშიც მე თქვენზე უკეთესი ვარ!

– ეგეც ჩემმა ქმარმა გითხრა?

– არა, ქალბატონო, თქვენმა მძღოლმა.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ნახე, როგორი უნაკლოდ გათეთრდა შენი მაისური ახალი სარეცხი საშუალებით გარეცხვის შემდეგ.

– ჰო, მაგრამ მე ის ზოლებიანი უფრო მომწონდა!

•••

ერთი ხანშიშესული მამაკაცი მეორეს ეკითხება:

– აბა, რისი თქმა შეგიძლია ქალების შესახებ?

– რას გულისხმობ?

– რომლები უფრო მოგწონს, შავგვრემნები თუ ქერათმიანები?

– რას მეკითხები, რა ქერათმიანები, რა შავგვრემნები? ჩემს ასაკში მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ძილში ხელი არ შემიშალონ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბიკინის ახალი მოდელი მეტისმეტი ეროტიკულობის გამო გააკრიტიკეს

ამერიკულმა მოდურმა ბრენდმა Fashion Nova-მ ინსტაგრამის საკუთარ გვერდზე განათავსა ბიკინის ახალი მოდელის ფოტო და ინტერნეტმომხმარებლების დიდი უმრავლესობის კრიტიკას წააწყდა მისი მეტისმეტი ეროტიკულობის გამო.

სიახლეს Euphoria Bikini ჰქვია და V-ს მსგავსი ტრუსისა და მაღალი ზედა ნაწილისგან შედგება, რომელიც მკერდის ქვედა ნაწილს აშიშვლებს.

ინსტაგრამის მომხმარებლებმა ჩათვალეს, რომ ამის გამო ბიკინიდან შეიძლება მკერდი გამოვარდეს. გარდა ამისა, მათ ეჭვი შეეპარათ იმაში, რომ ასეთი ბიკინით წყალში ცურვა შესაძლებელი იქნება და ჩათვალეს, რომ ეს სიახლე მხოლოდ ფოტოსურათის გადასაღებად თუ გამოდგება.

სელფი ნაადრევ დაბერებას იწვევს

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სელფს ნაადრევ დაბერებამდე მივყავართ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

კოსმეტიკური ფირმა Avon-ის მიერ ჩატარებულმა ახალმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ სმარტფონის ცისფერი ეკრანი სახის კანზე დამანგრეველად მოქმედებს.

– ცისფერი სინათლე ახერხებს კანი ღრმა ფენებში შეღწევას, სადაც კოლაგენი და ელასტინი გამომუშავდება და მათ ათხელებს და დაუცველს ხდის. ამ გამოსხივების ზემოქმედების ქვეშ დიდხანს ყოფნამ შეიძლება, ძლიერი მჟავიანობა გამოიწვიოს, – განმარტა ლონდონის საავადმყოფო Cadogan-ის დერმატოლოგმა სიუზენ მაიუმ.

გარდა ამისა, გამოკითხვის შედეგების თანახმად, 18-დან 24 წლამდე რესპონდენტების მეოთხედი დღეში საათზე მეტ ხანს ატარებს სმარფტფონის ეკრანთან. ამასთან, მათმა მხოლოდ 10-მა პროცენტმა იცის მისი გამოსხივების დამანგრეველი მოქმედების შესახებ.

მშობიარობის შემდეგ მეგან მარკლი საზოგადოებაში პირველად გამოჩნდა

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლი შვილის, პრინც არჩის დაბადების შემდეგ საზოგადოების წინაშე პირველად წარდგა.

მეუღლის, პრინც ჰარისა და სამეფო ოჯახის სხვა წევრების თანხლებით ის დედოფალ ელისაბედ II-ის დაბადების დღის პატივსაცემად ლონდონში გამართულ აღლუმს დაესწრო.

ღონისძიებაზე 37 წლის ჰერცოგინიას დიზაინერ Givenchy-ს მუქი ლურჯი ფერის კაბა ეცვა, თავზე კი ქუდი ეხურა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცი მეტროში მკვდარ ზვიგენს გადააწყდა

აშშ-ის ქალაქ ნიუ იორკში მგზავრმა მეტროს ერთ-ერთ სადგურში ძირს დაგდებული მკვდარი ზვიგენი შენიშნა.

24 წლის მაქს როდერმა ზღვის მტაცებელს სურათი 5 ივნისს გადაუღო. მან მისი ფოტოსურათი ინსტაგრამში სპეციალურ გვერდზე განათავსა. მამაკაცის თქმით, ის ძალიან გაკვირვებული დარჩა როდესაც მეტროს სადგურ ქვედა ისტ-საიდის კიბეზე ჩასვლისას სისხლში ამოსვრილი მკვდარი ზვიგენი დაინახა.

როდერის ვარაუდით, ვიღაცამ თევზი ან დაიჭირა, ან იყიდა სადილისთვის, მაგრამ ჩანთიდან ამოუვარდა ისე, რომ ვერც კი შენიშნა. გამოქვეყნებული ფოტოსურათის კომენტარებში ინტერნეტმომხმარებლებმა აღნიშნეს, რომ ეს ყველაზე უცნაური საგანია მათ შორის, რომლებსაც კი მეტროს სადგურებში გადასწყდომიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. ერთგვარი წითელი ღვინო; 7. სტადიონი ბრაზილიის ქალაქ ფორტალეზაში; 8. ოთახის ჯიშის ძაღლი; 10. ლუთერანული ეკლესია; 11. ბერნარდ შოუს პიესა; 13. ორატორის გამოსვლის ბოლო ნაწილი; 16. ბოსტნეული მცენარე მკრთალი მწვანე ფოთლებით; 19. ფესვის ამოღების ნიშანი (მათემ.); 20. პრესა, რადიო, ტელევიზია.

შვეულად: 1. ლითონზე გრავირებისათვის საჭირო ხელსაწყო; 2. ქვის ფილა წარწერით ან რელიეფური გამოსახულებით; 3. გოგრის სახეობა; 4. მინასავით ან სადაფივით მბზინვარე მინერალი; 5. დეკორატიული მცენარე მსხვილი, ლამაზი ყვავილედით; 9. ცოლისდის ქმარი; 12. ჯარისკაცების მწკრივში დაწყობა სიმაღლის მიხედვით; 14. ცხიმოვანა; 15. „მოხუცი და ...“; 17. მხედველობის ორგანო; 18. ჭაბუკი, ახალგაზრდა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

ჩან ჩან ვან + მა ინ ტონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბეი ფუ დი ჰუანგ ვან + სუნ სუო

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/